ეროვნული ბიბლიოთეკა

კანონთა და განკარგულებათა კრებული

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა მთავრობისა.

1924 წლის დეკემბრის 31.	№ 9. განყოფილება პირველი	გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული საკანონმდებლო კომისიის მიერ.

შინაარსი:

მუხ. 291. ერთიანი სასოფლო—სამეურნეო გადასახადის მონაკლებთა ფონდის დაარსების შესახებ საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის იმ ადგილების მოსახლეობისათვის, რომელიც დაზარალდა 1924 წ. მოუსავლობისაგან.

„ 292. შერეულ საზოგადოებათა და მათ რწმუნებულთა რეგისტრაციის შესახებ.

„ 293. ხანძარისაგან ტყეების დაცვის შესახებ.

„ 294. ამიერკავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1924 წლის მე-2 სახელმწიფო მომგებიანი სესხის ობლიგაციების სავალდებულო წესით გავრცელების თაობაზე 1924 წლის ივლისის 5-ის თარიღით გამოცემული დადგენილების მოქმედების განგრძობის შესახებ.

„ 295. საალმშენებლო საგადანაკვეთო სამუშაოთა დებულების შესახებ.

„ 296. ამიერკავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკის ქალაქებში საგადანაკვეთო სავალდებულო დაზღვევის შესახებ 1924—1925 წლისათვის.

„ 297. ამიერკავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოების ქვემდებარე სახელმწიფო საწარმოთათვის საურავის მოხსნის შესახებ.

„ 298. 1924 წლის დეკემბრის თვის სამუშაო ხელფასის მინიმუმის შესახებ.

„ 299. გამოუყენებელი შვებულების კომპენსაციისა და შვებულების დროს მისაცემი ჯამაგირის გამოანგარიშების წესის შესახებ.

„ 300. ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების დაწესებულებათა მოსკოვში არსებულ საკავშირო დაწესებულებებთან ერთიერთი მიმართვის შესახებ ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის წარმომადგენლობას მეშვეობით.

„ 301. საბჭოთა, პროფესიონალურ, სამეურნეო და კოოპერატიულ პასუხისმგებელ მომუშავეთა სასყიდლისა და მათი განაწილების შესახებ სატარიფო კატეგორიების მიხედვით.

„ 302. იმ დეკრეტებისა და დადგენილებების გაუქმების შესახებ, რაც სასოფლო-სამეურნეო გადასახადს შეეხება და გამოცემულია 1923 წ.

„ 303. საგადასახადო კომისიების შედგენილობის შასახებ.

„ 304. ადგილობრივი ფინანსების თაობაზე გამოცემული დროებითი დებულების 94 მუხლის რედაქციის შეცვლის შესახებ.

„ 305. ა/კ. ცენტრალური აღმასრ. კომიტეტისა და ა/კ. სახალხო კომისართა საბჭოს მიერ ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ გამოცემული დეკრეტის მე-17 მუხლის დამატების შესახებ.

მუხ. 306. საკანცელარიო გამოსაღებისა და მისი გადახდევინების წესის შესახებ.
„ 307. ადგილობრივი ფინანსების თაობაზე გამოცემული დროებითი დებულების 24 მუხლის დამატების შესახებ.
„ 308. ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკაში კოოპერატიული სტატისტიკის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.
„ 309. საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თამბაქოს ტრესტის მიერ ნაწარმოები თამბაქოს ფასების მოწესრიგების შესახებ.
„ 310. ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის ფარგლებში ხმარებული ფულის მასსის აღნუსხვის შესახებ.
„ 311 ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომისიის მიერ ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ყოველთვიური მიმოხილვის წარდგენის შესახებ.
„ 312. 1924 წლის ოქტომბრის 1—ლის ბალანსების წარდგენის ვადის შესახებ.
„ 313. სახელმწიფო საშემოსავლო გადასახადის შესახებ.
„ 314. ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის არაპირიან გადამხდელთათვის დადებული ადმინისტრატიული სასჯელის შესახებ.
„ 315. დებულება მომხმარებელ საზოგადოებათა და მათ კავშირთა სავალდებულო რევიზიის შესახებ.
„ 316. ყურძნის მასალისაგან და ნედლი ხილეულობისაგან გამოხდილი სპირტის სააქციზო განაკვეთის გადიდების შესახებ.
„ 317. იმ მოქალაქეთა პირადი სამრეწველო მოსაქმეობის სარეწავი გადასახადისაგან განთავისუფლების შესახებ, რომელნიც სოფლად შინამრეწველობის კოოპერატიული ამხანაგობის (არტელის) წევრად ირიცხებიან.
„ 318. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ პურის დამმზადებლებთან დადებული ზოგიერთი ხელშეკრულობისა და ამ ხელშეკრულობით გათვალისწინებულ ოპერაციეთა ანგარიშების საღერბო და სხვა გამოსაღებისაგან განთავისუფლების შესახებ.
„ 319. ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის დებულების მე-13 მუხლის შენიშვნის შეცვლის შესახებ.
„ 320. სახელმწიფო მიწების იჯარით გაცემის შესახებ.
„ 321. მაზუთის ფასის შემცირების შესახებ.
„ 322. ერთდროული გადასახადის შესახებ მოუსავლობისაგან დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებათათვის.
„ 323. დებულება ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებული სახელმწიფო საგეგმო კომისიის შესახებ.

დადგენილება № 65 ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

1924 წლის ნოემბრის 27.

291. ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის მონაკლებთა ფონდის დაარსების შესახებ საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის იმ ადგილების მოსახლეობისათვის, რომელიც დაზარალდა 1924 წლის მოუსავლობისაგან.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრ. კომიტეტისა და ამიერკავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1924 წლის მოუსავლობისაგან დაზარალებული ადგილების მოსახლეობისათვის ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შე-

ღავათის დაწესების შესახებ ამა ოქტომბრის 3-ს თარიღით გამოცემული დეკ-
რეტის საფუძველზე ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს,

1. მონაკლებთა ფონდი საქართველოს იმ ადგილების მოსახლეობისათვის, რომელიც მიმდინარე წელს მოუსავლობისაგან დაზარალდა, დაწესებულ იქნეს ხუთი პროცენტის რაოდენობით კონტინგენტზე.

2. საქართველოს ს. ს. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს უფლება ეძლევა გაანაწილოს ეს ფონდი მაზრებსა და ავტონომიურ რესპუბლიკებს შორის, რათა მიმდინარე წლის მოუსავლობისაგან განსაკუთრებით დაზარალებული რაიონების ცალკე მეურნეობანი განთავისუფლებულ იქნეს ნაწილობრივ ან სრულიად ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ.
რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ.
რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ნ. ივანიშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს მდივნის თანამდებობის
დრ. აღმასრულებელი **ს. ლეკიშვილი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 642 №-ში 1924 წლის დეკემბრის 2-ს.

დადგენილება № 8 ს. ს. რესპუბლიკების კავშირის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოსი ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკაში.

1924 წლის ნოემბრის 22.

292. შერეულ საზოგადოებათა და მათ რწმუნებულთა რეგისტრაციის შესახებ.

1. საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მონაწილეობით მომქმედი ყველა შერეული საზოგადოება, მისი რწმუნებული, კონტორა და სხვ., რომელიც ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის ტერიტორიაზე იქნება, ვალდებულია ერთი კვირის განმავლობაში დღეის რიცხვიდან გატარებულ იქნეს საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს რეგისტრაციაში.

2. ამიერიდან არც ერთ შერეულ საზოგადოებას, რომელშიაც საგარეო ვაჭრობის სახ. კომისარიატი მონაწილეობას იღებს არც მის წარმომადგენლობას, აგენტურას და სხვ., ოკეთუ იგი წინასწარ გატარებულ არ იქნა საგარეო ვაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს რეგისტრაციაში, უფლება არ აქვს დაიწყოს მოქმედება ამიერკავკასიაში.

3. რეგისტრაციისათვის საჭირო ინსტრუქცია მიღებულ უნდა იქნეს საგარეო ვაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებულის ეკონომიურ განყოფილებაში (მუზეუმის ქ., № 2).

საგარეო ვაჭრობის სახალხო
კომისარიატის რწმუნებული **ივანიანი.**
საქმეთა მმართველის მაგიერ **სოკოლოვსკაია.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 742 №-ში 1924 წლის დეკემბრის 2-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი

1924 წლის ნოემბრის 24.

293. ხანძარისაგან ტყეების დაცვის შესახებ.

რათა წარმოებულ იქნეს ბრძოლა ტყეებში ცეცხლის გაჩენის წინააღმდეგ, რაც სახალხო უბედურებას წარმოადგენს და ზიანს აყენებს სახალხო მეურნეობასა და მშრომელ მოსახლეობას, ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრ. კომიტეტი და ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. დაეკისროს სამაზრო აღმასრ. კომიტეტებს ყოველგვარად დაეხმარონ სატყეო ორგანოებს ხანძარისაგან ტყეების დაცვის საქმის განხორციელებაში, სახელდობრ:

ა) ყოველწლიურად, არა უგვიანეს მარტის 1-სა, გამოსცენ ხოლმე, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სახელმძღვანელო დებულებათა საფუძველზე, სათანადო სავალდებულო დადგენილებანი ხანძარისაგან ტყეების დაცვის შესახებ;

ბ) გაანაწილონ მაზრის ტყეები ახლო მდებარე სოფლებ შორის, რათა, რაც შეიძლება სასწრაფოდ და ორგანიზაციულად, იქნეს განხორციელებული შრომის ბეგარა, უკეთუ ტყეში სადმე ცეცხლი გაჩნდება;

გ) განახორციელონ მოსახლეობის შრომის ბეგარაზე გაწვევა ხანძარის წინააღმდეგ საბრძოლველად;

დ) რათა გაძლიერებულ იქნეს ხანძარისაგან ტყეების დაცვის საქმე წიწვიანი ტყეების მახლობლად მცხოვრებ მოსახლეობაზე ეკონომიური ზეგავლენის მოხდენით, დაწესებულ იქნეს ამ მოსახლეობისათვის შეღავათი ხე-ტყის გაცემის საქმეში ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სატყეო კოდექსების სათანადო მუხლების წესისამებრ, იმისდამიხედვით, თუ გასულ წელს რამდენჯერ გაჩნდა ცეცხლი მახლობელ ტყეებში; ეს შეღავათი დაწესებულ იქნება თანახმად განსაკუთრებული ინსტრუქციისა, რომელსაც შეიმუშავებს მიწათმოქმედების სახო კომისარიატი ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულთან შეთანხმებით.

2. უშუალო პასუხისმგებლობა ცეცხლისაგან ტყეების დაცვისათვის და ცეცხლის საწინააღმდეგო სათანადო ღონისძიებათა ხმარებისათვის დაეკისრება:

ა) საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ტყეში—მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სატყეო ორგანოს;

ბ) ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეში—ტყის მოსარგებლეს, რომელსაც ტყე მიუღია უვადო სარგებლობისათვის და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ორგანოებს (კონტროლისა და ზედამხედველობის წესით).

3. საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ტყეში პასუხისმგებლობა ცეცხლისაგან ტყის დაცვისათვის, მიუხედავათ ამა დადგენილების მე-2 მუხლში გათვალისწინებულ დაწესებულებათა პასუხისმგებლობისა, დაეკისრება ყველა დაწესებულებასა და პირს, რომელსაც ტყის ნაკვეთი გადაცემული აქვს შემუშავებისა ან სხვა სახის სარგებლობისათვის.

4. რათა მოსაჭრელი ტყე გაწმენდილ იქნეს თავის დროზე, ე. ი.—ცეცხლის გაჩენის მხრით საშიში დროის დადგომამდე, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ორგანოები ვალდებულ არიან აიღონ გამოსაღები გაწმენდისათვის, თანახმად საამისოდ გამოცემული წესებისა.

5. ფულადი სახსარი ცეცხლის საწინააღმდეგო ღონისძიებათა განხორციელებისათვის მიწათმოქმედების სახ. კომისარიატს მიეცემა სახარჯთ-აღრიცხვო წესით.

6. ცეცხლის ჩასაქრობად გაწვეულ მოქალაქეთ გასამრჯელოს მისცემს მიწათმოქმედების სახ. კომისარიატი ამიერკავკასიის ფინანსთა სახ. კომისარიატის მიერ მის განკარგულებაში გადაცემული სახსარიდან, თანახმად განსაკუთრებული ინსტრუქციისა, რომელსაც შეიმუშავებს და დაამტკიცებს ა/კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატი ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის მიწათმოქმედების სახ. კომისარიატთან ერთად.

7. მუშა-ძალის გადასაყვანად ცეცხლის ადგილას და უკანვე დასაბრუნებლად გზათა სახალხო კომისარიატი მისცემს უფასოდ ცეცხლის ჩაქრობის ხელმძღვანელ ორგანოთ ყოველგვარ საშუალებას, რაც მას აქვს და თვით სპეციალურ მატარებლებსაც.

8. დაწესებულება და თანამდებობის პირი, რომელთა დაუდევრობის გამო, ან იმის გამო, რომ მათ დროზე არ იხმარეს ცეცხლის საწინააღმდეგო ღონისძიება, გაჩნდება ცეცხლი, პასუხს აგებენ ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის შედგენილობაში შემავალი ამა თუ იმ რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის სათანადო მუხლების თანახმად, მიუხედავად ქონებრივი პასუხისმგებლობისა, რაც მათ სამოქალაქო სარჩელის წესით დაეკისრებათ მიყენებული ზარალისათვის.

9. შეუსრულებლობა იმ სავალდებულო დადგენილებათა, რაც გამოცემულია ცეცხლისაგან ტყეების დაცვის შესახებ, დაისჯება, როგორც ადმინისტრატიული მმართველობის წესით გამოცემულ სავალდებულო დადგენილებათა შეუსრულებლობა.

10. თავის არიდება ცეცხლის ჩაქრობაში მონაწილეობისაგან, რაც დაწესებულ იქნება რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ, ან მისგან სა-

ამისოდ რწმუნებამოსილი ორგანოს მიერ—დაისჯება ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების სათანადო მუხლების თანახმად.

11. ტყისათვის განზრახ ცეცხლის წაკიდება დაისჯება ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების მიხედვით, როგორც განზრახ განადგურება ან გაფუჭება ქონებისა ზოგადსაშიში საშუალებით.

12. დაევალოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს—შინაგან სახალხო კომისარიატთან ერთად—,სახელმწიფო დაზღვევის სამმართველოს, გზათა სახ. კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს, სამხედრო უწყებისა და სხვა დაინტერესებული უწყების წარმომადგენელთა მონაწილეობით, შეიმუშაოს ტყის ხანძრის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში სახელმძღვანელო დაწვრილებითი ინსტრუქცია, რომელიც განსაზღვრავს ცეცხლის საწინააღმდეგო ტეხნიკურ ღონისძიებათ და რომელსაც დაამტკიცებს ა/კ. სახალხო კომისართა საბჭო.

13. ამა დადგენილების საფუძველზე ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკათა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტები შეიტანენ სატყეო კოდექსებში სათანადო ცვლილებას.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**
ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ.
რესპუბლიკის სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**
ამიერკავკასიის ცენტრ. აღმასრ.
კომიტეტის მდივნის მაგიერ **ს. იაკუბოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 742 №-ში 1924 წლის დეკემბრის 2-ს.

დადგენილება № 64 ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი

1924 წლის ნოემბრის 27.

294. ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1924 წლის მე-2 სახელმწიფო მომგებიანი სესხის ობლიგაციების სავალდებულო წესით გავრცელების თაობაზე 1924 წლის ივლისის 5-ს თარიღითა და 32 №-ით გამოცემული დადგენილების მოქმედების განგრძობის შესახებ.

ამიერკავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1924 წლის მე-2 სახელმწიფო მომგებიანი სესხის ობლიგაციების სავალდებულო წესით გა-

ვრცელების შესახებ 1924 წლის ივლისის 5-ს თარიღითა და 32 №-ით გამოცემული დადგენილების (ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის მთავრობის კანონთა და განკარგ. კრებული 1924 წ. № 4, მუხ. 152) მოქმედება განგრძობილ იქნეს 1924—1925 საბიუჯეტო წლისათვის იმ ცვლილებით, რაც აღნიშნულია ამა დადგენილების მე-2, მე-3 და მე-4 მუხლში.

2. საშემოსავლო გადასახადის ძირითადი შენაწერის გადამხდელნი „ბ“ და „გ“ კატეგორიისა (ა/კ. ს. ფ. ს. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს 1924 წ. ივლისის 5-ს თარიღისა და 32 №-ის დადგენილების I კარი) ვალდებულ არიან შეიძინონ სესხის ობლიგაციები განსაზღვრული თანხისა ძირითადი შენაწერის გადახდის ვადაზე, ე. ი. არა უგვიანეს 1924 წლის დეკემბრის 15-სა და 1925 წლის ივნისის 15-სა.

3. საშემოსავლო გადასახადის იმ პროგრესიული შენაწერის გადამხდელნი, რაც გამოანგარიშებულ უნდა იქნეს შემოსავალთა შეერთებულობისა და ქონების ღირებულობის მიხედვით (ა/კ. ს. ფ. ს. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს 1924 წლის ივლისის 5-ს თარიღისა და 32 №-ის დადგენილების მე-II კარი), ვალდებულ არიან შეიძინონ ყოველ ნახევარ წელიწადში სესხის ობლიგაციები განსაზღვრული თანხისა შემდეგ ვადაზე: პირველ ნახევარ-წელიწადში—არა უგვიანეს 1925 წლის თებერვლის 1-სა და მაისის 1-სა და მეორე-ნახევარ წელიწადში—არა უგვიანეს 1925 წლის აგვისტოს 1-სა და ნოემბრის 1-სა, თანასწორ ნაწილებად.

4. საპატენტო გამოსაღების გადამხდელნი (ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს 1924 წლის ივლისის 5-ს თარიღისა და 32 №-ის დადგენილების მე-V კარი) ვალდებულ არიან შეიძინონ სესხის ობლიგაციები განსაზღვრული თანხისა პატენტის აღების დროს თვითეული ნახევარ წლისათვის—ოქტომბერი-მარტი და აპრილი-სექტემბერი.

ამიერკავკასიის სოც.-ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**
ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **ნ. ივანიშვილი.**
ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო
კომისართა საბჭოს მდივნის თანამდებობის
დრ. აღმასრულებელი **ს. ლეკიშვილი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 742 №-ში 1924 წ. დეკემბრის 2-ს.

დადგენილება № 35 ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის უმაღლესი ეკონომიური საბჭოს.

1924 წლის ნოემბრის 20.

295. სააღმშენებლო საგადანაკვეთო სამუშაოთა დებულების შესახებ.

ვიდრე საკანონმდებლო წესით დამყარდებოდეს ნორმები, რაც მოაწესრიგებს სააღმშენებლო სამუშაოთა შესრულებისათვის საჭირო მუშა-ძალის გამოა-

ნგარიშებას—ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის უმაღლესი ეკონომიური საბჭო ადგენს:

1) დროებით შეფარდებულ იქნეს საალმშენებლო საგადანაკვეთო სამუშაოთა დებულების (გამოც. 1923 წ. რუსეთის ს. ფ. ს. რესპ. სახელმწ. ტეხნიკური გამომც.) ნორმები შემდეგ მუხლებში აღნიშნული შესწორებით.

2) 1924-25 საბიუჯეტო წლის ხარჯთაღრიცხვის შედგენის დროს დაწესდეს შემასწორებელი კოეფიციენტი 1,25 რაოდენობისა ყველა ნორმისათვის, რაც გათვალისწინებულია საგადანაკვეთო დებულებაში; ამასთანავე გადანაკვეთის პრაქტიკულად მიცემის დროს ნებადართულია შემასწორებელი კოეფიციენტი შეეფარდოს ცალკე სამუშაოს შემდეგ ფარგლებში: 1,00-დან 1,25-დე და ზევითაცგარემოების მიხედვით, ხოლო საშუალოდ—კოეფიციენტის გადაცილება 1,25-ზე არ შეიძლება.

3) საგადანაკვეთო დებულების 13 №-ის „ზ“ პუნქტში ტექსტი დაწყებული სიტყვიდან „მიზეზები“ გამოტოვებულ იქნეს ამა პუნქტის ბოლომდე და მე-13 §-ს დაერთოს შემდეგი შენიშვნა: „მიზეზი საგადანაკვეთო დებულების ნორმებიდან გადახრისა აღნიშნულ უნდა იქნეს ხარჯთაღრიცხვის განმარტებითი წერილში, უკეთუ ეს უკანასკნელი საჭიროა. ხარჯთაღრიცხვაში გაუთვალისწინებელი ამა თუ იმ გადახრის აუცილებლობა, რაც თავს იჩენს მუშაობის წარმოების დროს, თვითეულ ცალკე შემთხვევაში დადასტურებულ უნდა იქნეს დაწვრილებით დასაბუთებული აქტებით“.

4) საგადანაკვეთო დებულების მე-4 და 5 პარაგრაფი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„§ 4. უკეთუ სამუშაო დღე 8 საათზე ნაკლებია, ის გადანაკვეთი, რაც მიღებულ იქნება შემასწორებელი კოეფიციენტის—1,25-ს—შემოღების შედეგად, შემცირებულ უნდა იქნეს თანაბრად სამუშაო საათების ნამდვილი რიცხვის შემცირებისა“.

„§ 5. ხარჯთაღრიცხვის შემდგენელს უფლება ეძლევა შეიტანოს შეფასებაში სამუშაო დღის საათების ნამდვილი რაოდენობა, იხელმძღვანელებს-რა „საგადანაკვეთო დებულების“ ნორმებს შემასწორებელი კოეფიციენტით—1,25“.

5) დაევალოს ყველა სახალხო კომისარიატს, რომელიც საალმშენებლო მუშაობას აწარმოებს, იხმაროს სათანადო ღონისძიება, რათა 1924-25 წლის საალმშენებლო სეზონის განმავლობაში მიიღოს საცდელი ცნობები შემასწორებელი კოეფიციენტების პრაქტიკულად შეფარდებისათვის და წარუდგინოს ეს ცნობები ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომისიას არა უგვიანეს 1925 წლის ივლისის 1-სა.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
უმაღლესი ეკონომიური საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**
ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
უმაღლესი ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველი **ნ. ივანიშვილი.**
ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
უმაღლესი ეკონომიური საბჭოს მდივანი **ნ. სოკოლსკი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 742 №-ში 1924 წ. დეკემბრის 2-ს.

დადგენილება № 63 ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

1924 წლის ნოემბრის 27.

296. იმიერკავკასიის ს. ფ. ს. რესპ. ქალაქებში სავალდებულო საგადანაკვეთო დაზღვევის შესახებ 1924-1925 წლისათვის.

ქალაქებში ცეცხლისაგან სავალდებულო საგადანაკვეთო დაზღვევის შესახებ ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1923 წ. ივნისის 2-ს თარიღით გამოცემული დეკრეტისა (ა/კ. ს. ფ. ს. რესპ. კანონთა და განკარგ. კრებული 1923 წ. № 9, მუხ. 125) და 1924 წლის მაისის 22-ს თარიღითა და 27 №-ით გამოცემული დადგენილების (ა/კ. ს. ფ. ს. რესპ. კანონთა და განკარგ. კრებული 1924 წ. № 4, მუხ. 134) გასაუქმებლად—ა/კ ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. 1924 წლის ოქტომბრის 1-დან 1925 წლის სექტებრის 30-დე ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკათა ქალაქებში დაწესებულ იქნეს სავალდებულო საგადანაკვეთო დაზღვევა ნაგებობისა—ცეცხლისაგან და რქოსანი საქონლისა და ცხენებისა—გაწყდომისაგან.

2. ნაგებობის ცეცხლისაგან სავალდებულო საგადანაკვეთო დაზღვევის ნორმებად ქალაქებში დაწესებულ იქნეს 50 პროც. ნაგებობის შეფასებისა იმ ანგარიშით, რომ ეს ნორმა არ აღემატებოდეს 2.500 მან. საცხოვრებელი ნაგებობისათვის და 500 მან. არა-საცხოვრებელი ნაგებობისათვის და რომ იგი არ იყოს 200 მანათზე ნაკლები საცხოვრებელი ნაგებობისათვის და 50 მანათზე—არასაცხოვრებელი ნაგებობისათვის; უკეთუ ესა თუ ის ნაგებობა შეფასებულ იქნება აღნიშნულ უმდაბლეს ნორმაზე ნაკლებ თანხად, სათანადო ნაგებობა დაზღვეულ უნდა იქნეს სადასაზღვეო შეფასების სრულ თანხად.

3. ნაგებობის ცეცხლისაგან სავალდებულო საგადანაკვეთო დაზღვევის პრემიის ტარიფი დაწესებულ იქნება თანახმად სატარიფო ცხრილისა (დანართი) და ქალაქთა განსაკუთრებული ნუსხისა, რაც მიღებულია სატარიფო კლასიფიკაციის საფუძვლად.

შენიშვნა 1. ქალაქთა ნუსხას შეადგენს ა/კ. ს. ფ. ს. რესპ. სახელმწიფო საგეგმო კომისია და დაამტკიცებს ა/კ. სახალხო კომისართა საბჭო.

შენიშვნა 2. ქალაქთა განაწილება ტარიფის კლასებად (დანართი) დამტკიცებულ იქნება ა/კ. ს. ფ. ს. რესპ. ფინანსთა სახ. კომისარიატის მიერ.

4. მსხვილი რქოსანი საქონლისა და ცხენების დაზღვევის ნორმებად ყველგან—ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკაში—დაწესებულ იქნება: მსხვილი რქოსანი საქონლისათვის 20 მან. და ცხენებისათვის—40 მან.

5. ცხენების საქალაქო სავალდებულო დაზღვევის ტარიფად დაწესდება ყველგან $6^1/_2$ პროცენტი. მსხვილი რქოსანი საქონლის დაზღვევის ტარიფად დაწესდება 3,35 პროც..

6. სადასაზღვეო სასყიდელი შეტანილ უნდა იქნეს სახელმწიფო დაზღვევის ადგილობრივ სააგენტოში 1925 წლის იანვრის 31-დე. 1925 წ. იანვრის 31-დე

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადაუხდელი სასყიდელი ჩაირიცხება ნარჩენად და გადახდევინებელ უნდა იქნეს ადმინისტრატიული (უდავო) წესით.

7. სადასაზღვეო სასყიდელს საურავი არ მიერიცხება, ხოლო ნარჩენის გადახდევინების დროს,—გადახდევინებისათვის საჭირო ხარჯის ასანაზღაურებლად,—გადასახდევინებელ თანხას მიერიცხება ათი პროცენტი.

8. ქალაქის უღარიბესი მოსახლეობა განთავისუფლებულ იქნეს სადასაზღვეო სასყიდლისაგან, ისე კი, რომ მოხსნილი სასყიდლის საერთო თანხა არ აღემატებოდეს მირიცხული სადასაზღვეო პრემიის საერთო თანხის 5%-ს თვითეულ სახის საგადანაკვეთო საქალაქო დაზღვევისათვის.

9. იმ ნაგებობისა და საქონლისათვის, რაც ეკუთვნის პროფ. კავშირის წევრს, დაქირავებულ მუშას და მოსამსახურეს, წითელარმიელს, სოციალურ უზრუნველყოფაზე ჩარიცხულ პირს, მოხალისე ცეცხლის მქრობელი რაზმის წევრს და აგრეთვე აღნიშნული კატეგორიების პირთაგან შემდგარ ყოველგვარ შენაერთს (უკეთუ ეს ნაგებობა მიცემული არა აქვს სხვა პირს იჯარით ან სხვაგვარი სარგებლობისათვის), დაწესებულ იქნეს შემდეგი მონაკლები საქალაქო საგადანაკვეთო დაზღვევის პრემიის ტარიფისა: ა) ნაგებობისათვის—20%-ი; ბ) მსხვილი რქოსანი საქონლისათვის—10%-ი და გ) ცხენებისათვის—5%-ი.

10. დადგენილება ესე შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ 1924 წ. ოქტომბრის 1-დან.

დანართი.

ტარიფი და ცხრილი.

	ქალაქთა კლასები.			
	1	2	3	4
	კაპიკი 100 მანათზე.			
ქვისა, მკვიდრად დახურული	15	20	25	35
ქვისა, არამკვიდრად დახურული	20	30	40	50
შერეული, მკვიდრად დახურული	20	30	40	50
შერეული, არამკვიდრად დახურული	30	40	50	65
ხისა, მკვიდრად დახურული	30	40	50	65
ხისა, არამკვიდრად დახურული	35	50	65	80

ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **ნ. ივანიშვილი**

ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს მდივნის თანამდებობის
დრ. აღმასრულებელი **ს. ლეკიშვილი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 743 №-ში 1924 წ. დეკემბრის 3-ს.

დადგენილება № 66 ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

1924 წლის ნოემბრის 27.

297. ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოების ქვემდებარე სახელმწიფო საწარმოთათვის საურავის მოხსნის შესახებ.

რათა მომავალი საბიუჯეტო წლის დასაწყისისათვის მოხდეს საბოლოო ლიკვიდაცია ყველა გადასახადისა, გამოსაღებისა და არასაგადასახო შემოსავლის ნარჩენისა, რაც ირიცხება ა/კ. ს. ფ. ს. რესპ. შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკათა სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოების ქვემდებარე სახელმწიფო საწარმოებზე, სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1) მოეხსნას ზემოაღნიშნულ საწარმოთ დავალიანების საურავი, რაც გადასახადისა, გამოსაღებისა და არასაგადასახადო შემოსავლის სფეროში ირიცხებოდა სახელმწიფო საწარმოებზე იმ დროისათვის, როდესაც გამოცემული იყო უმაღლესი ეკონომიური საბჭოს ა/წ. სექტემბრის 6-ს დადგენილება გადასახადთა და არასაგადასახადო შემოსავლთა თავის დროზე გადახდის ღონისძიებათა შესახებ.

2) დაევალოს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ქვემდებარე ყველა საწარმოს უმაღლესი ეკონომიური საბჭოს ზემოაღნიშნული დადგენილების გამოცემის შემდეგ შემდგარი საურავი გადაიხადონ საერთო წესით.

3) ამა დადგენილების 1-ლ მუხლში გათვალისწინებული საურავის მოხსნა ნებადართულ იქნეს მხოლოდ იმ პირობით, უკეთუ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს სახელმწიფო საწარმონი უსათუოდ გაისტუმრებენ მთლად იმ ნარჩენს, რაც მათზე ირიცხება 1925 წ. იანვრის 1-სათვის.

შენიშვნა. ამა მუხლის მოქმედება არ გავრცელდება იმ საწარმოზე, რომელსაც გადახდის ვადა გადაედო არსებული წესით.

4. დაევალოს ა/კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატს შეიმუშაოს ინსტრუქციამ ამა დადგენილების მე-3 მუხლის შეფარდების წესის შესახებ.

ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო
კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო
კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **ნ. ივანიშვილი.**

ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო
კომისართა საბჭოს მდივნის თანამდ.
დრ. აღმასრ. **ს. ლეკიშვილი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 744 №-ში 1924 წლის დეკემბრის 4-ს.

დადგენილება № 141 ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატისა.

1924 წლის დეკემბრის 6.

298. 1924 წლის დეკემბრის თვის სამუშაო ხელფასის მინიმუმის შესახებ.

ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს:

1. 1924 წლის დეკემბრის თვისათვის ამიერკავკასიის ტერიტორიაზე მინიმალურ სამუშაო ხელფასად დაწესებულ იქნეს 7 მან.

2. მშრომელთა თვიური გასამრჯელო არ შეიძლება ამა დადგენილების 1-ლი მუხლით განსაზღვრულ განაკვეთზე ნაკლები იყოს და ეს განაკვეთი არის ის მინიმალური სამუშაო ხელფასი ნორმალური სამუშაო დროისათვის, რომელზე ნაკლებსაც ვერ გაიღებს ვერც ერთი სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულება ან საწარმო.

შენიშვნა. კოლექტიური ხელშეკრულება და სატარიფო შეთანხმება, რომლის განაკვეთიც ნაკლებია ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნულ სახელმწიფო მინიმუმზე,—უკანონოდ ჩაითვლება და რეგისტრაციაში გატარებულ არ იქნება.

3. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე პასუხს აგებს სასამართლოს წესით.

ამიერკავკასიის შრომის
სახალხო კომისრის მოადგილე **იაშვილი.**

ა/კ. შრომის სახ. კომისარიატის
სატარიფო განყოფილების გამგის მაგიერ **ლეინი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 747 №-ში 1924 წლის დეკემბრის 7-ს.

განმარტება ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატისა.

1924 წლის ნოემბრის 25.

299. გამოუყენებელი შვებულების კომპენსაციისა და შვებულების დროს მისაცემი ჯამაგირის გამოანგარიშების წესის შესახებ.

ა/კ. შრომის სახ. კომისარიატი განმარტავს, რომ როგორც გამოუყენებელი შვებულების კომპენსაცია, ისე შვებულების დროს მისაცემი ჯამაგირი გამოანგარიშებულ უნდა იქნეს ა/კ. შრომის სახ. კომისარიატის მიერ საშუალო სამუ-

შაო ხელფასის გამოანგარიშების წესის შესახებ 1924 წლის ივლისის 8-ს თარიღითა და 102 №-ით გამოცემული დადგენილების (ა/კ.შ. ს. კ. „იზვესტია", № 9-10) წესისამებრ, ე. ი. როცა შვებულება მიცემულია ორი კვირით და მეტი ვადით—საფუძვლად მიღებულ უნდა იქნეს სამუშაო ხელფასი წინა სამი თვისა; კომპენსაციის მიცემის აუცილებლობის დროს, როცა შვებულების უფლება არა სრულია: სამ დღემდე—იმ ფაქტიური ხელფასის მიხედვით, რაც მიღებულია მიმდინარე თვის დანარჩენი სამუშაო დღეებისათვის, სამიდან ოც დღემდე—წინა თვის ფაქტიური ხელფასის მიხედვით.

ა/კ. შრომის სახალხო კომისარი **ს. იაკუბოვი.**

საორგანიზაციო განყოფილების გამგე **ს. გოდაბრელიძე.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 147 №-ში 1924 წლის დეკემბრის 7-ს.

ცირკულიარი ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

300. ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს, ყველა ფედერატიულ სახალხო კომისარიატს და სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს.

ფედერატიული და რესპუბლიკანური დაწესებულებანი და სამეურნეო ორგანოები, თავიანთი სამეურნეო ინტერესების დასაცავად ან განსაზღვრულ ღონისძიებათა შესათანხმებლად ცენტრალურ სახ. კომისარიატებთან, და აგრეთვე სხვა მრავალგვარი მიზნით ხშირად ჰგზავნიან ხოლმე მოსკოვს თავიანთ წარმომადგენლებს, რომელნიც, უმეტეს შემთხვევაში, არა მარტო უშუალო მოლაპარაკებას აწარმოებენ სათანადო საკავშირო დაწესებულებებთან, გარეშე ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის წარმომადგენლობისა, არამედ არც კი ატყობინებენ აღნიშნულ წარმომადგენლობას, თუ რა მიზნით ჩასულან მოსკოვს.

ვსთვლით-რა არა ნორმალურად ასეთ მოქმედებას, რაც ამა თუ იმ საკითხის გადაწყვეტის დროს იწვევს უწყებრივ კერძოობის გაძლიერებას ფედერატიული და რესპუბლიკანური ინტერესების საზიანოდ, ვსთხოვ ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოების თავმჯდომარეთ—კატეგორიული წინადადება მისცენ ყველა რესპუბლიკანურ ორგანოებს, რათა მათ თავიანთი წარმომადგენლების მეშვეობით, ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის წარმომადგენლობის გარეშე, არავითარი ურთიერთობა არ იქონიონ მოსკოვის საკავშირო დაწესებულებებთან; ხოლო ყველა ფედერატიულ სახ. კომისარიატს, სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

და სამეურნეო ორგანოს, წარვლნიებასთან დაკავშირებული ხარჯის გაბათილების რიდით, წინადადება ეძლევა, როცა მოსკოვში რომელიმე ორგანოსთან იქონიებს მოლაპარაკებას ან სხვა ხასიათის ურთიერთ მიმართვას,—აწარმოოს ეს ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის წარმომადგენლობის მეშვეობით ან ისე, რომ წარმომადგენლობამ ამის შესახებ იცოდეს და, უკანასკნელ შემთხვევაში, დაწვრილებით აცნობოს წარმომადგენლობას მოლაპარაკების მსვლელობა და მისი შედეგები.

ყოველგვარი დამოუკიდებელი გამოსვლა ჩაითვლება ისეთ გაძოსვლად, რომელიც წარმოებულია არა—ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის დაწესებულებისაგან, რაც ამავე დროს ეცნობება ს. ს. რესპუბლიკების კავშირის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს, სახალხო კომისართა საბჭოს და შრომისა და თავდაცვის საბჭოს და ეთხოვება მათ, რათა ამგვარი წარმომადგენელი მიცემულ იქნეს სასტიკ პასუხისგებაში.

ა კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის წარმომადგენლობას დაევალება ამა ცირკულიარული წერილის შინაარსის მიხედვით წარუდგინოს სათანადო მოხსენება ს. ს. რესპუბლიკების კავშირის ცენტრალურ აღმასრ. კომიტეტს, სახალხო კომისართა საბჭოს და შრომისა და თავდაცვის საბჭოს.

ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

სახალხო კომისართა საბჭოს და უმაღლესი
ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველი **ნ. ივანიშვილი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 747 №-ში 1924 წლის დეკემბრის 7-ს.

დადგენილება № 142 ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატისა.

1924 წლის დეკემბრის 9.

301. საბჭოთა, პროფესიონალურ, სამეურნეო და კოოპერატიულ პასუხისმგებელ მომუშავეთა სასყიდლისა და მათი სატარიფო კატეგორიების მიხედვით განაწილების შესახებ.

ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს:

გამოქვეყნებულ იქნეს ცნობად და სახელმძღვანელოდ ა/კ. სახალხო კომისართა საბჭოს პლენუმის 1924 წ. ნოემბრის 27-ს სხდომაზე (ოქმი № 20) დამტკიცებული ინსტრუქცია საბჭოთა, პროფესიონალურ, სამეურნეო და კოოპერატიულ პასუხისმგებელ მომუშავეთა სასყიდლისა და მათი სატარიფო კატეგორიების მიხედვით განაწილების შესახებ.

ა/კ. შრომის სახალხო კომისარი **ს. იაკუბოვი.**

სატარიფო განყოფილების გამგის მაგიერ **მ. ლეინი.**

ინსტრუქცია ა/კ შრომის სახალხო კომისარიატისა.

საბჭოთა, პროფესიონალური, სამეურნეო და კოოპერატიულ პასუხისმგებელ მომუშავეთა სასყიდლისა და მათი სატარიფო კატეგორიების მიხედვით განაწილების შასახებ.

ა/კ. შრომის სახ. კომისარიატის მიერ 1924 წლის მარტის 14-ს თარიღითა და 88 №-ით გამოცემული დადგენილების განსავითარებლად და დასამატებლად დაწესებულ იქნეს პასუხისმგებელ მომუშავეთა შემდეგი განაწილება 17 კატეგორიანი ქსელის მიხედვით (შეჯარდება 1:8).

1. პასუხისმგებელ მომუშავედ ჩაითვლება საბჭოთა, პროფესიონალური, სამეურნეო და კოოპერატიული მომუშავე, რომელიც პასუხიმგებელ მონაწილეობას იღებს საბჭოთა, პროფესიონალური, სამეურნეო და კოოპერატიული აღმშენებლობის საქმეში და რომელიც პასუხისმგებელია არა მარტო თავისი მოვალეობის ტეხნიკური შესრულებისათვის, არამედ დაკისრებული ფუნქციების იდეური და პოლიტიკური წარმართვისა და განხორციელებისათვისაც.

2. პასუხისმგებელ მომუშავისათვის სატარიფო კატეგორიის განსაზღვრის დროს სახელმძღვანელოდ მიღებულ უნდა იქნეს შემდეგი განაწილება:

განაწილება საბჭოთა, პროფესიონალური, სამეურნეო და კოპერატიული ორგანიზაციების პასუხისმგებელ მომუშავეთა

მე-17 კატეგორია:

1. ა/კ. ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის პრეზიდიუმი, ა/კ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე, ა/კ. სახალხო კომისარი, მისი მოადგილე და ა/კ. სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრი, ა/კ. სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი, ა/კ. საგანგებო კომისიის თავმჯდომარე, მისი მოადგილე და კოლეგიის წევრი; ა/კ. უმაღლესი ეკონომიური საბჭოს პრეზიდიუმი; ა/კ. სახელმწიფო საგეგმო კომისიის პრეზიდიუმი; უფროსი ა/კ. დაწესებულებისა, რომელიც გათანაბრებულია ა/კ. სახალხო კომისარიატთან და მოადგილე ამ უფროსისა; საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის ს. ს. რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრ. კომიტეტების პრეზიდიუმის წევრი; საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის ს. ს. რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოების თავმჯდომარენი, სახალსო კომისრები, მათი მოადგილენი და სახალხო კომისარიატების კოლეგიათა წევრები; საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის ს. ს. რესპუბლიკების ეკონომი-საბჭოებისა და სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოების თავმჯდომარენი; ტფილისისა, ბაქოს და ერევნის საბჭოების პრეზიდიუმის წევრები; აჭარისა და აფხაზეთის ცენტრ. აღმასრ. კომიტეტებისა და სახალხო კომისართა საბჭოების თავმჯდომარენი და სახალხო კომისრები.

2. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე და უზენაესი სასამართლოს საკასაციო და სამსჯავრო კოლეგიების თავმჯდომარენი; საქართველოს, აზერ-

ბაიჯანისა და სომხეთის ს. ს. რესპუბლიკების პროკურორების მოადგილენი; რესპუბლიკანური საგანგებო კომისიის თავმჯდომარე, მისი მოადგილე და კოლეგიის წევრი; უფროსი რესპუბლიკანური დაწესებულებისა, რომელიც გათანაბრებულია სახალხო კომისარიატთან, და ამ უფროსის მოადგილე.

3. აზერბაიჯანის ნავთის სამმართველოს უფროსი, კასპიის ზღვის ნაოსნობის უფროსი და ა/კ. რკინისგზათა სამმართველოს უფროსი; ა/კ. კოოპერატიული შენაერთის გამგეობის პრეზიდიუმის წევრი და საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის ს. ს. რესპუბლიკების კოოპერატიული შენაერთის გამგეობის პრეზიდიუმის წევრი; ქარხნების ჯგუფის მმართველი, როცა მუშათა რიცხვი 1.500 კაცს აღემატება; ბანკის მმართველი და მისი მოადგილე; სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს სარევიზიო კომისიის პრეზიდიუმი, ბაქოს ნავთის სააქციო სამმართველოს უფროსი.

4. ა/კ. პროფ. კავშირთა საბჭოს, ა/კ. რკინისგზათა პროფ. კავშირისა და საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის ს. ს. რესპუბლიკების პროფ. კავშირთა საბჭოების პრეზიდიუმების წევრები; სამთო მუშათა კავშირის აზერბაიჯანის განყოფილების პრეზიდიუმის წევრი.

მე-16 კატეგორია:

1. სამხრეთ-ოსეთისა, ნახიჩევანის მხარისა და მთის ყარაბაღის ცენტრ. აღმსრ. კომიტეტების პრეზიდიუმის თავმჯდომარენი და წევრები და აგრეთვე სახალხო კომისრები; ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების სახალხო კომისარიატების კოლეგიებისა და ეკონომიური საბჭოების წევრები; საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის სახალხო კომისართა საბჭოებისა და ა/კ. ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის საქმეთა მმართველნი; შრომის ინსპექტორი საქარხნო რაიონისა, სადაც მუშათა რიცხვი 20.000 კაცს აღემატება; იმ სამაზრო ქალაქის აღმასრ. კომიტეტის პრეზიდიუმი, რომლის მოსახლეობა 25.000-ს აღემატება; ა/კ. წყალთა სამმართველოს რწმუნებულნი რესპუბლიკებში.

2. საოლქო სასამართლოს თავმჯდომარე და პროკურორები იმავე რესპუბლიკების უზენაესი სასამართლოსი, საოლქო სასამართლოსი, შრომის საქმეთა სასამართლოსი და სამხედრო ტრიბუნალისა.

3. აჭარის და აფხაზეთის პროფ. კავშირთა საბჭოების პრეზიდ. წევრები; იმ რესპუბლიკანური კავშირის ცენტ. გამგეობის წევრი, რომლის წევრთა რიცხვი 10.000-ს აღემატება და სახალხო მანძილ შეერთებულობის ოლქის სამმართველოს წევრი. (იხ. შენიშვნა 6).

4. დირექტორი და მმართველი ცალკე ქარხნისა და საწარმოსი, სადაც მუშათა რიცხვი 1.000-დან 1.500-დე იქნება; აგრეთვე მოადგილე ამ დირექტორისა და მმართველისა.

მე-15 კატეგორია:

1. იმ სამაზრო ქალაქის აღმასრ. კომიტეტის პრეზიდიუმი, სადაც მოსახლეობა 15.000-ს აღემატება; ქ. ბაქოს რაიონული საბჭოს პრეზიდიუმი; იმ შრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მის განყოფილების გამგე, რომელიც რამდენიმე მაზრას აერთიანებს; უფროსი ტეხნიკური და სანიტარული ინსპექტორი.

2. უზენაესი და საოლქო სასამართლოს მუდმივი წევრი, შრომის სესიის თავჯდომარე და უუმნიშვნელოვანეს საქმეთა გამომძიებელი.

3. ნახიჩევანის მხარისა, ყარაბაღისა და სამხრეთ-ოსეთის პროფ. კავშირთა საბჭოს პრეზიდიუმი; იმ პროფ. კავშირის პრეზიდიუმი, რომლის წევრთა რიცხვი 4.000-დან 10.000-დე იქნება; პროფ. ბიურო, რომლის წევრთა რიცხვი 1.500 კაცზე მეტი იქნება (იხ. შენიშვნა 6).

4. დირექტორი ან მმართველი იმ საწარმოსი, სადაც მუშათა რიცხვი 300-დან 1.000-დე იქნება.

მე-14 კატეგორია:

1. იმ სამაზრო ქალაქის აღმასრ. კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სადაც მოსახლეობა 15.000-ს აღემატება; იმ საქარხნო რაიონის ინსპექტორი, სადაც რაოდენობა 10.000 კაცს აღემატება; სანიტარული და ტეხნიკური ინსპექტორი.

2. შრომის სესიის მუდმივი წევრი, უზენაესი სასამართლოს გამომძიებელი, მომხსენებელი, საოლქო სასამართლოს უფროსი გამომძიებელი, სახალხო მოსამართლე ცენტრში და პროვინციაში და სათადარიგო მოსამართლე; უზენაესი და საოლქო სასამართლოს მდივანი საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის ს. ს. რესპუბლიკებში.

3. ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების კავშირთა განყოფილების პრეზიდიუმი; პრეზიდიუმი სამაზრო პროფ. ბიუროსი, რომლის წევრთა რიცხვი 1.000-დან 1.500 დე იქნება; პრეზიდიუმი პროფ. კავშირთა სამაზრო განყოფილებისა, სადაც წევრთა რიცხვი 1.000 კაცს აღემატება; რესპუბლიკის პროფ. კავშირთა საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი.

4. დირექტორი ან მმართველი იმ საწარმოსი, სადაც მუშათა რიცხვი 300-დე იქნება.

მე-13 კატეგორია:

1. შრომის ინსპექტორი იმ საქარხნო რაიონში, სადაც მუშათა რიცხვი 10.000-დე იქნება; აღმასრ. ბიურო სახელმწიფო უნივერსიტეტისა, პოლიტეხნიკუმისა და მუშათა ფაკულტეტისა საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის ს. ს. რესპუბლიკებში.

2. სახალხო გამომძიებელი ცენტრში და პროვინციაში.

3. პრეზიდიუმი პროფ. კავშირთა სამაზრო განყოფილებისა, სადაც წევრთა რიცხვი 300 დან 1.000-დე იქნება.

მე-12 კატეგორია:

1. ინსპექტორი სამაზრო შრომის კამერისა.

2. პრეზიდიუმი პროფ. კავშირთა სამაზრო განყოფილებისა, სადაც წევრთა რიცხვი 150-დან 300 დე იქნება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე-11 კატეგორია:

პრეზიდიუმი პროფ. კავშირთა სამაზრო განყოფილებისა, სადაც წევრთა რიცხვი 150-დე იქნება.

შენიშვნები: 1. სამეურნეო შენაერთების (ტრესტი, სინდიკატი) გამგეობის წევრი გათანაბრებულია მათი გამაერთიანებელი სათანადო მასშტაბის პროფ. ორგანიზაციის გამგეობასთან.

2. მუშათა კოოპერატივისა და ერთიანი მომხმარებელი საზოგადოების გამგეობის პრეზიდიუმის წევრები განაწილდებიან ისე, როგორც ამა თუ იმ ადგილის აღმასრ. კომიტეტის პრეზიდიუმის წევრები.

3. რესპუბლიკანური სოც. დაზღვავის სამმართველოს უფროსი ეთანაბრება სათანადო რესპუბლიკის სახალხო კომისარიატის ძირითადი განყოფილების გამგეს; საქარხნო რაიონის სადასაზღვეო კასის გამგე—ამავე რაიონის შრომის ინსპექტორს; სამაზრო სადასაზღვეო კასის გამგე—სამაზრო შრომის ინსპექტორს; სამაზრო საგადამხდელო პუნქტის გამგე ერთი კატეგორიით დაბლაა ამავე მაზრის შრომის ინსპექტორზე.

4. დაწესებულებისა და ორგანიზაციის ხელმძღვანელის მოადგილე (სახალხო კომისრისა, თავმჯდომარისა, უფროსისა და სხვ.) იმავე კატეგორიაშია, რომელშიაც ირიცხება ის პირი, ვის მაგიერობასაც იგი ეწევა.

5. სახალხო კომისარიატისა და ტფილისის, ბაქოს და ერევნის აღმასრ. კომიტეტის ძირითადი ფუნქციონალური განყოფილების გამგე ერთი კატეგორიით დაბლაა ამ დაწესებულებათა პრეზიდიუმზე ან ხელმძღვანელზე. დაწესებულების ძირითად განყოფილებებს განსაზღვრავს და ამ განყოფილებათა გამგეებს პასუხმგ. ტარიფ. კატეგორიების მიხედვით განაწილებს შრომის სახ. კომისარიატთან არსებული კომისია. ძირითადი განყოფილების გამგის მოადგილე ერთი კატეგორიით დაბლაა გამგეზე.

ავტონომიურ რესპუბლიკაში და ოლქში ძირითად განყოფილებების გამგეთა კვალიფიკაცია მოხდება მე-12—14 კატეგორიების ფარგლებში სამუშაოს რაოდენობის მიხედვით.

6. პროფ. კავშირთა ცენტრ. გამგეობის პრეზიდიუმის წევრის განაკვეთი დაწესებულ იქნება სათანადო პროფ. კავშირის საბჭოს კომპეტენციით, იმ ფაქტიური სამუშაოს რაოდენობის მიხედვით, რასაც ასრულებს პრეზიდიუმის ესა თუ ის წევრი და კავშირის ფულადი სახსარის მიხედვით; თანაც კვალიფიკაცია დაწესებულ იქნება მე-14—16 კატეგორიების ფარგალში.

აფხაზეთისა და აჭარის პროფ. კავშირთა ცენტრ. გამგეობის პრეზიდიუმისა და წევრებისათვის—13—15 კატეგორია.

რესპუბლიკის პროფ. კავშირთა საბჭოს ინსტრუქტორი, სტაჟისა და სამუშაოს რაოდენობის მიხედვით, შეტანილ იქნება მე-14—15 კატეგორიაში.

რესპუბლიკის პროფ. კავშირთა ცენტრ. გამგეობის ინსტრუქტორი ერთი კატეგორიით დაბლაა.

7. ადგილობრივი კომიტეტის წევრს შრომის სასყიდელი მიეცემა ამ ტარიფით და იმ ქსელით, რაც არსებობს ამა თუ იმ დაწესებულებაში მე-10—13 კატეგორიით,

ხოლო არა ნაკლებ იმ კატეგორიისა, რომლითაც იგი, ადგილობრივ კომიტეტში არჩევამდე, იღებდა სასყიდელს თავისი თანამდებობისათვის, თანაც სატარიფო განაკვეთს მიერიცხება დამატებითი სასყიდელი მისი განაკვეთის 10—25 პროცენტის რაოდენობისა კავშირის დადგენილებისამებრ.

8. სამრეწველო საწარმოს (საქარხნო—საფაბრიკო კომიტეტი და მუშათა კომიტეტი) დაბალი საკავშირო უჯრედის პასუხისმგებელ არჩეულ მომუშავეს სასყიდელი მიეცემა იმ წარმოებითი ტარიფისა და სატარიფო ქსელის მიხედვით, რაც მოქმედებს ამ საწარმოში, მე-10—13 კატეგორიების ფარგალში; ამ გასაირჯელოს მიერიცხება აგრეთვე დამატებითი სასყიდელი იმ მუშაობისათვის, რის აღნუსხვაც შეუძლებელი იქნება, მთლად საწარმოს ნაჭრობით მომუშავეთა საშუალო საშოვარის რაოდენობით.

ა/კ. შრომის სახალხო კომისარი **ს. იაკუბოვი.**

სატარიფო განყოფილების
გამგის მაგიერ **მ. ლეინი**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 751 №-ში 1924 წლის დეკემბრის 12-ს

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კ. სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

1924 წლის დეკემბრის 8.

302. იმ დეკრეტებისა და დადგენილებების გაუქმების შესახებ, რაც სასოფლო-სამეურნეო გადასახადს შეეხება და გამოცემულია 1923 წ.

ა/კ. ცენტრალური აღმასრ. კომიტეტისა და ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ 1924 წლის აპრილის 24-ს თარიღით გამოცემულ დეკრეტთან (ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის კანონთა და განკარგ. კრებული 1924 წ. № 4 მუხ. 490) დაკავშირებით ა/კ. ცენტრალური აღმასრ. კომიტეტი და ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

გაუქმებულ იქნეს შემდეგი კანონდებულებანი:

1. ა/კ. ცენტრალური აღმასრ. კომიტეტისა და ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს 1923 წ. აპრილის 23-ს დეკრეტი ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ (ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის კანონთა კრებული 1923 წ. № 7, მუხ. 87).

2. ა/კ. ცენტრ. აღმასრ. კომიტეტისა და ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს 1923 წლის დეკრეტი—ერთიანი სასოფლო სამეურ-

ნეო გადასახადის განაკვეთის შესახებ (ა/კ. ს. ფ. ს. რ-ის კანონთა კრებული 1923 წ. № 8, მუხ. 120).

3. ა/კ. ცენტრალური აღმ. კომიტეტისა და ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს 1923 წ. ივნისის 9 ს დეკრეტი (ა/კ. ს. ფ. ს. რ. კან. კრებ. 1923 წ. № 9, მუხ. 148).

4. ა/კ. ცენტრ. აღმასრ. კომიტეტისა და ა/კ ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს 1923 წ. ივნისის 22-ს დადგენილება ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის არაპირიან გადამხდელთათვის ადმინისტრატიული სასჯელის დადების შესახებ (ა/კ. ს. ფ. ს. რ-ის კანონთა კრებული 1923 წ. № 9, მუხ. 160).

5. ა/კ. ცენტრ. აღმასრ. კომიტეტისა და ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს 1923 წ. ივლისის 16-ს დეკრეტი სომხეთის სოც. საბჭ. რესპუბლიკის რაიონებად დანაწილების შესახებ ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრეფისათვის (ა/კ. ს. ფ. ს. რ-ის კანონთა კრებული 1923 წ. № 9, მუხ. 160).

6. ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს 1923 წ. ივლისის 16-ს დეკრეტი რაიონების კატეგორიებად განაწილების შესახებ მოსავლიანობის მიხედვით (ა/კ. ს. ფ. ს. რ-ის კანონთა კრებული 1923 წ. № 9, მუხ. 156).

7. ა/კ. ცენტრ. აღმასრ. კომიტეტისა და ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს 1923 წ. ივლისის 16-ს დადგენილება შეღავათის შესახებ სრულიად რუსეთის 1923 წ. სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილე გლეხთა მეურნეობისათვის ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გადახდენინებაში (ა/კ. ს. ფ. ს. რ-ის კანონთა კრებული 1923 წ. № 9, მუხ. 151).

8. ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს 1923 წ. აგვისტოს 2-სა და 73 №-ს დადგენილება მუღანის ველის სამელიორაციო სამმართველოსათვის იმ ერთიანი სასოფლო სამეურნეო გადასახადის გადაცემის შესახებ, რაც შემოვა მუღანის ველზე მორწყული მიწებიდან (ა/კ. ს. ფ. ს. რ-ის კანონთა კრებული 1923. № 10, მუხ. 164).

9. ა/კ. ცენტრ. აღმასრ. კომიტეტისა და ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს 1923 წ. აგვისტოს 13-ს დეკრეტი ნახიჩევანის მხარის ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ნატურად გადახდევინების რაიონებისათვის მიკუთვნების შესახებ (ა/კ. ს. ფ. ს. რ-ის კანონთა კრებული 1923 წ. № 10, მუხ. 174).

10. ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს 1923 წ. აგვისტოს 18-სა და 81 №-ის დადგენილება აღმოსავლეთი საქართველოს მთიანი რაიონების განაწილების შესახებ მოსავლიანობის კატეგორიების მიხედვით (ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის კანონთა კრებული 1923 წ. № 10, მუხ. 176).

11. ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს 1923 წ. აგვისტოს 18-ს თარიღისა და 82 №-ის დადგენილება ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ანარიცხის შესახებ ადგილობრივი საჭიროების დაკმაყოფილებისათვის (ა/კ. ს. ფ. ს. რ-ის კანონთა კრებული 1923 წ. № 10, მუხ. 178).

12. ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს 1923 წ. სექტემბრის 13-ს თარიღისა და 90 №-რის დადგენილება მოსავლიანობის კატეგო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიის დაბლა დაწევის შესახებ საქართველოსა და აზერბაიჯანის ზოგიერთი მაზრისათვის (ა/კ. ს. ფ. ს. რ-ის კანონთა კრებული 1923 წ. № 11, მუხ. 194).

13. ა/კ. ცენტრ. აღმასრ. კომიტეტისა და ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს 1923 წ. სექტემბრის 27-ს დადგენილება ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის საერთო თანხის შემცირების შესახებ (ა/კ. ს. ფ. ს. რ-ის კანონთა კრებული 1923 წ. № 11, მუხ. 209).

14. ა/კ ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს 1923 წ. ნოემბრის 6-ს თარიღისა და 99 №-ის დადგენილება დასავლეთ საქართველოს რაინებად განაწილების შესახებ მოსავლიანობის კატეგორიების მიხედვით (ა/კ. ს. ფ. რ-ის კანონთა კრებული 1923 წ. № 12, მუხ. 228).

15. ა/კ. ცენტრ. აღმასრ. კომიტეტისა და ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს 1923 წ. დეკემბრის 31-ს დეკრეტი ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრეფის მოსპობის შესახებ (ა/კ. ს. ფ. ს. რ-ის კანონთა კრებული 1924 წ. № 1, მუხ. 1).

ა/კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის
თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ა/კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის
მდივანი **ა. შავერდოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 751 №-ში 1924 წ. დეკემბრის 12-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

1924 წლის დეკემბრის 8.

303. საგადასახადო კომისიების შედგენილობის შესახებ.

ს. ს. რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური აღმასრულებული კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1924 წ. ოქტომბრის 3-ს დადგენილების თანახმად—ა/კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. სათანაბრო გამოსაღების გამოსაანგარიშებლად თვითეულ საგადასახადო უბანში მოეწყობა საუბნო საგადასახადო კომისია ფინანსთა ინსპექტორის თავმჯდომარეობით; კომისიაში შევლენ: ორი წარმომადგენელი პროფ. კავშირთა

ადგილობრივი შენაერთისა, ერთი წარმომადგენელი ადგილობრივი მეურნეობის სამაზრო განყოფილებისა ან სათანადო დაწესებულებისა და ორი წევრი გადამხდელთაგან.

2. საშემოსავლო გადასახადის გამოსაანგარიშებლად თვითეულ საგადასახადო უბანში მოეწყობა საშემოსავლო გადასახადის საუბნო კომისია ფინანსთა ინსპექტორის თავმჯდომარეობით; კომისიაში შევლენ: ერთი წარმომადგენელი ადგილობრივი აღმასრ. კომიტეტისა, ერთი წარმომადგენელი პროფ. კავშირთა ადგილობრივი შენაერთისა და ორი წევრი საშემოსავლო გადასახადის გადამხდელთაგან.

შენიშვნა. სააქციო საზოგადოებათა, საპაიო ამხანაგობათა და საკრედიტო დაწესებულებათა დაბეგვრისათვის ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის ფინანსთა სახ. კომისარიატის ორგანოებს უფლება ეძლევათ მოაწყონ განსაკუთრებული საგადასახადო კომისიები, რომელთა შედგენილობა და მოქმედების რაიონი განისაზღვრება ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის ფინანსთა სახ. კომისარიატის ინსტრუქციით.

3. სათანაბრო გამოსაღებისა და საშემოსავლო გადასახადის გადამხდელთა მიერ ამა დადგენილების 1-ლი და მე-2 მუხლში აღნიშნული საუბნო საგადასახადო კომისიების დადგენილებაზე შეტანილი საჩივრის განსახილველად სამაზრო საფინანსო-განყოფილებასთან მოეწყობა სამაზრო საგადასახადო კომისია; კომისიის თავმჯდომარედ იქნება სამაზრო აღმასრ. კომიტეტის მიერ დანიშნული პირი; კომისიაში შევა შვიდი წევრი: სამაზრო საფინანსო განყოფილების გამგე, ამ განყოფილების საგადასახადო ქვეგანყოფილების გამგე, წარმომადგენელი ადგილობრივი მეურნეობის სამაზრო განყოფილებისა ან სათანადო დაწესებულებისა, წარმომადგენელი პროფ. კავშირთა სამაზრო ბიუროსი, მაზრის ერთ-ერთი რაიონის სახალხო მოსამართლე სათანადო საოლქო (საქართველო, აზერბაიჯანი) და მთავარი (სომხეთი) სასამართლოს დასახელებით და ორი წევრი გადასახადის ან გამოსაღების გადამხდელთაგან.

შენიშვნა 1. სათანაბრო გამოსაღებით დაბეგვრის გამო შეტანილი საჩივრის განხილვის დროს კომისიის შედგენილობაში შევლენ: ორი წარმომადგენელი სათანაბრო გამოსაღების გადამხდელთაგან, ხოლო საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის გამო შეტანილი საჩივრის განხილვის დროს— ორი წარმომაოგენელი ამ გადასახადის გადამხდელთაგან.

შენიშვნა 2. კომისიის სხდომაზე შეიძლება მიწვეულ იქნეს საუბნო ფინანსთა ინსპექტორი სათათბირო ხმის უფლებით.

4. საუბნო და სამაზრო საგადასახადო კომისიების წევრებს გადამხდელთა რიცხვიდან დანიშნავს სამაზრო აღმასრ. კომიტეტი სამაზრო საფინანსო განყოფილების წარდგენით; ამასთანავე ერთი წევრი დაინიშნება ადგილობრივი კოოპერატიული ორგანიზაციების მიერ დასახელებულ კანდიდატთაგან, მეორე-კი— ადგილობრივი საბაზრო კომიტეტების ან სათანადო ორგანიზაციების მიერ დასახელებულ კანდიდატთაგან, ხოლო უკეთუ ესენი არ იქნებიან, იმ პირთაგან, ვისაც საუბნო ფინანსთა ინსპექტორი დაასახელებს სათანაბრო გამოსაღებისა და ხაშემოსავლო გადასახადის გადამხდელ კერძო ვაჭართა შორის.

შენიშვნა 1. ამა მუხლში აღნიშნული ორგანიზაციების მიერ არჩეულ და აგრეთვე ფინანსთა ინსპექტორების მიერ დასახელებულ კანდიდატთა სია წარედგინება სამაზრო საფინანსო განყოფილებას.

შენიშვნა 2. გადამხდელთა წარმომადგენლობის მოწყობა ზემოაღნიშნულ საფუძველზე დაეკისრება სამაზრო საფინანსო განყოფილებას.

5. სამაზრო საგადასახადო კომისიის დადგენილება შეიძლება განსაჩივრებულ იქნეს გადამხდელთა მიერ ან სათანადო სამაზრო კომისიის თავმჯდომარის მიერ რესპუბლიკის საგადასახადო კომისიაში.

6. რესპუბლიკანური საგადასახადო კომისია მოეწყობა ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის ან მის მიერ დანიშნული პირის თავმჯდომარეობით; კომისიაში შევლენ: საგადასახადო განყოფილების მმართველი, პირდაპირ გადასახადთა ქვეგანყოფილების გამგე, თითო წარმომადგენელი რესპუბლიკის ეკონომიური თათბირისა, ხოლო სადაც იგი არ არის—სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოსი, მთავარი ქალაქის საოლქო სასამართლოსი ან რესპუბლიკის მთავარი სასამართლოსი, პროფ. კავშირთა რესპუბლიკანური საბჭოსი და აგრეთვე ორი წევრი გადამხდელთაგან.

შენიშვნა 1. სათანაბრო გამოსაღებით დაბეგვრის გამო შეტანილი საჩივრის განხილვის დროს გადამხდელთა წარმომადგენლებად კომისიაში შევა ორი წევრი ამ გამოსაღების გადამხდელთაგან, ხოლო საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის გამო შეტანილი საჩივრის განხილვის დროს—ორი წარმომადგენელი ამ გადასახადის გადამხდელთაგან.

შენიშვნა 2. საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის გამო შეტანილი საჩივრის განხილვის დროს სამაზრო პროფ. საბჭოს უფლება ეძლევა დანიშნოს კომისიაში ორი წარმომადგენელი.

7. რესპუბლიკანური კომისიის გადაწყვეტილება სარეწავი და საშემოსავლო გადასახადის სფეროში საბოლოოა და შეიძლება განსაჩივრებულ იქნეს მარტოდენ კანონის დარღვევის გამო ა/კ. ს. ფ. ს. რ—ის ფინანსთა სახ. კომისარიატში, რომლის გადაწყვეტილებაც შეიძლება განსაჩივრებულ იქნეს ს. ს. რესპუბლიკების კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატში.

8. რესპუბლიკანური საგადასახადო კომისიის წევრს როგორც სარეწავი, ისე საშემოსავლო გადასახადის გადამხდელთაგან დანიშნავს რესპუბლიკის მთავარი ქალაქის ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტი ფინანსთა სახ. კომისარიატთან არსებული საგადასახადო განყოფილების წარდგენით და შემდეგი წესით:

ა) სარეწავი გადასახადის კომისიაში ერთი წევრი დაინიშნება საბირჟო კომიტეტის მიერ წარდგენილ კანდიდატთაგან, ხოლო სადაც საბირჟო კომიტეტი არ არის—კოოპერატიული ორგანიზაციის მიერ წარდგენილ კანდიდატთაგან, მეორე წევრი კი დაინიშნება იმ კანდიდატთაგან, რომელთაც წარადგენს ბაზრის ვაჭრების კომიტეტი ან სათანადო ორგანიზაცია, ხოლო სადაც ეს უკანასკნელნი არ არსებობენ—იმ კანდიდატთაგან, რომელთაც წარადგენს ფინანსთა სახ. კომისარიატის რწმუნებულთან არსებული საგადასახადო განყოფილება.

ბ) საშემოსავლო გადასახადის კომისიაში ერთ წევრს დანიშნავს რესპუბლიკის მთავარი ქალაქის ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტი ფინანსთა

სახ. კომისარიატის რწმუნებულთან არსებული საგადასახადო განყოფილების წარდგენით—რესპუბლიკანური კომისიისათვის, მეორე წევრი კი დაინიშნება იმ კანდიდატთაგან, რომელთაც წარადგენს საბირჟო კომიტეტი, ხოლო სადაც იგი არ არის—ბაზრის ვაჭრების კომიტეტი ან სათანადო ორგანიზაცია, ხოლო იქ, სადაც არც ეს უკანასკნელნი არსებობენ—იმ კანდიდატთაგან, რომელთაც წარადგენს ფინანსთა სახ. კომისარიატის რწმუნებულთან არსებული საგადასახადო განყოფილება.

შენიშვნა 1. საბირჟო კომიტეტი ვალდებულია, როცა სარეწავი გადასახადის კომისიის წევრად კანდიდატს დაასახელებს, უზრუნველჰყოს კოოპერაციის ინტერესების წარმომადგენლობა.

შენიშვნა 2. ზემოაღნიშნული ორგანიზაციების მიერ არჩეულ კანდიდატთა სია წარედგინება ფინანსთა სახ. კომისარიატის რწმუნებულთან არსებულ საგადასახადო განყოფილებას.

შენიშვნა 3. გადამხდელთა წარმომადგენელობის მოწყობა ზემოაღნიშნულ საფუძველზე დაეკისრება ფინანსთა სახ. კომისარიატის რწმუნებულთან არსებულ საგადასახადო განყოფილებას.

ა/კ. ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ა/კ. ს. ფ. ს. რ-ის სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ა/კ. ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 751 №-ში 1924 წ. დეკემბრის 12-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერკავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

1924 წლის დეკემბრის 8.

304. ადგილობრივი ფინანსების თაობაზე გამოცემული დროებითი დებულების 94 მუხლის რედაქციის შეცვლის შესახებ.

ა/კ. ცენტრალური აღმასრ. კომიტეტი და ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

ადგილობრივი ფინანსების შესახებ გამოცემული დროებითი დებულების 94 მუხლი შეიცვალოს და მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„საგანცხადებო გადასახადი დაედება ყველა ფასიან განცხადებას, რომელსაც ექნება კომერციული ხასიათი, ე. ი. რომელიც დაკავშირებულ იქნება სავაჭრო, სამრეწველო და ფულად ოპერაციასთან, აგრეთვე ყოველგვარ განცხადებას, რაც გამოქვეყნებულ იქნება მატერიალური სარგებლობის მიზნით, გარდა ისეთი განცხადებისა, რომელიც შეეხება შრომის მოთხოვნილებისა და მიწოდების საქმეს.

გადასახადის რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს განცხადებისათვის გადასახდევინებელი ფასის 10%-ს“.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ა/კ. ს. ფ. ს. რ-ის სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 752 №-ში 1924 წ. დეკემბრის 13-ს.

დეკრეტი ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

1924 წლის დეკემბრის 8.

305. ა/კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კ. სახალხო კომისართა საბჭოს მიერ ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის თაობაზე გამოცემული დეკრეტის მე-17 მუხლის დამატების შესახებ.

ა/კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

ა/კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ 1924 წლის აპრილის 24-ს თარიღით გამოცემული დეკრეტის (ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის კანონთა და განკარგ. კრებული 1924 წ. № 4, მუხ. 90) მე-17 მუხლს დაერთოს პუნქტი „ე“ შემდეგი შინაარსისა:

„მეურნეობას, რომლის შედგენილობაშიაც შედის ტერიტორიალური ნაწილის ცვალებადი შედგენილობის ისეთი პირი, ვინც გაწვეულია სასწავლოდ და შესაკრებელში, გადაედება გადასახადისა და მისი ადგილობრივი ზედნართის შეტანის ვადა ერთი თვით დღიდან მისი დაბრუნებისა სწავლებიდან და შესაკრებელიდან, თანაც ამ დროისათვის გადასახადს საურავი არ მიერიცხება“.

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 752 №-ში 1924 წ. დეკემბრის 13-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

1924 წლის დეკემბრის 8.

306. საკანცელარიო გამოსაღებისა და მისი გადახდევინების წესის შესახებ.

ა/კ. ცენტრალური აღმასრ. კომიტეტისა და ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ საკანცელარიო გამოსაღების შესახებ 1923 წ. აგვისტოს 22-სა და სექტემბრის 27 ს თარიღით გამოცემულ დადგენილებათა (ა/კ. ს. ფ. ს. რ-ის კანონთა კრებული 1923 წ. № 11, მუხ. 183 და 205) გასაუქმებლად—ა/კ. ცენტრალური აღმასრ. კომიტეტი და ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. დაინტერესებული ორგანოსა და პირის თხოვნით საბჭოთა (საერთო-საკავშირო, რესპუბლიკანურ და ადგილობრივ) დაწესებულებაში ასლისა, ამონაწერისა, მოწმობისა, ცნობისა და სხვ. ქაღალდის დამზადებისათვის ისეთი საქმის თაობაზე, რაც ამ დაწესებულების გამგებლობის ფარგალში შედის, გადახდევინებულ უნდა იქნეს ამავე დაწესებულების მიერ საკანცელარიო გამოსაღები 25 კაპიკის რაოდენობით ფურცლის ფორმატის თვითეულ სრულ და არასრულ გვერდზე.

შენიშვნა 1. სამეურნეო ანგარიშზე მყოფ სახელმწიფო და კომუნალურ საწარმოს და სახელმწიფო ორგანოს შეუძლიან საკუთარი განკარგულებით შემოიღოს თავისთან და აგრეთვე თავის ქვემდებარე დაწესებულებაში საკანცელარიო გამოსაღების გადახდევინება იმ რაოდენობით და იმ წესით, რაც აღნიშნულია ამა დადგენილებაში; ამასთანავე მიღებულ თანხას აღნიშნული საწარმო თუ ორგანო ჩარიცხავს თავის სასარგებლოდ.

შენიშვნა 2. სრულ გვერდად ჩაითვლება 25 სტრიქონიანი გვერდი, როდესაც ორივე მხარის კიდეები, ერთად აღებული, ერთი ვერშოკი იქნება.

2. საკანცელარიო გამოსაღები გასტუმრებულ უნდა იქნეს იმ წამსვე, როცა შეტანილ იქნება განცხადება თუ თხოვნა 1-ლ მუხლში აღნიშნული ამა თუ იმ ქაღალდის მიცემის შესახებ; გამოსაღების გასტუმრება მოხდება მე-4 მუხლში გათვალისწინებული განსაკუთრებული მარკების საშუალებით.

3. საკანცელარიო გამოსაღების თანხა ჩაირიცხება: ა) ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის შემოსავლად, როცა ქაღალდს დაამზადებს სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფი დაწესებულება; ბ) ადგილობრივი აღმასრ. კომიტეტის შემოსავლად, როცა ქაღალდს დაამზადებს დაწესებულება, რომლის შენახვაც ადგილობრივ სახსარს აქვს დაკისრებული.

შენიშვნა. უკეთუ ქაღალდს დაამზადებს ისეთი დაწესებულება, რომელიც ერთსა და იმავე დროს სახელმწიფო ბიუჯეტზედაც ირიცხება და ადგილობრივ სახსარზედაც,—საკანცელარიო გამოსაღების თანხა გადადის ადგილობრივი ორგანოს შემოსავალში.

4. საკანცელარიო გამოსაღების გადახდა მოხდება 25 კაპიკიანი მარკებით, რასაც დაამზადებს ს. ს. რესპ. კავშირის ფინანსთა სახ. კომისარიატი სახმისოდ დაწესებული ნიმუშის მიხედვით.

5. ამა დადგენილებით გათვალისწინებული საკანცელარიო გამოსაღებისაგან განთავისუფლდება:

ა) ის პირი, ვისდამიც სათანადო ორგანოებს უცვნიათ სიღარიბის უფლება, ხოლო მარტოოდენ იმ საქმეზე, რომლის გამოც ცნობილია ეს უფლება;

ბ) პროფ. კავშირის წევრი, რომელსაც უჭირავს თანამდებობა 7 კატეგორიამდე (ამ კატეგორიითურთ), ხოლო მე-7 კატეგორიისაზე დიდი თანამდებობის წევრი განთავისუფლდება იმ შემთხვევაში, უკეთუ წარადგენს პროფ. კავშირიდან განსაზღვრული საქმის გამო მიღებულ მოწმობას, რომ მას არ ძალუძს გამოსაღების გასტუმრება;

გ) წითელარმიელი, როგორც ნამდვილ სამსახურში მყოფი, ისე დემობილიზაციით განთავისუფლებული, ყველა საქმის გამო, რაც დაკავშირებული იქნება სამხედრო სამსახურის შესრულებასთან;

დ) სახელმწიფო და კომუნალური დაწესებულება და საწარმო, რომელიც განთავისუფლებულია სარეწავი გადასახადისაგან—ყველა საქმის გამო, რაც მის მოქმედებას შეეხება;

ე) ყოველი ქაღალდი, რასაც დაწესებულება გასცემს კანონის სავალდებულო მოთხოვნის ძალით;

ვ) ქაღალდი, რომლისთვისაც განსაკუთრებული კანონდებულებით დაწესებულია სპეციალური საკანცელარიო გამოსაღები, რაც გადახდევინებულ უნდა იქნეს სხვა საფუძველზე და სხვა რაოდენობით;

ზ) მოწმობა და ყოველგვარი ქაღალდი, რაც გაცემულ იქნება სოციალური უზრუნველყოფის საქმის თაობაზე წარსადგენად;

თ) მოწმობა, რასაც დაწესებულება მისცემს თავის მოსამსახურე მუშასა და თანამშრომელს სამსახურის გავლისა, ჯამაგირის გადახდისა და აგრეთვე ყოველგვარი გადასახადის გასტუმრების შესახებ;

ი) მოწმობა და ყოველგვარი ცნობა, რასაც სამკურნალო დაწესებულება მასცემს მუშას, მოსამსახურეს, ნამდვილ სამხედრო სამსახურში მყოფ პირსა და მოსწავლეს—ჯანმრთელობისა, დაშავებისა და დასახიჩრების შესახებ, საავადმყოფოში, სანატორიუმში და კურორტში ყოფნის შესახებ, ამარიდებელი აცრის შესახებ და აგრეთვე საინფექციო სენით ავადმყოფ ოჯახის წევრთა იზოლაციის შესახებ;

კ) მოწმობა და ყოველგვარი ქაღალდი, რასაც სასწავლებელი მისცემს მოსწავლეს კურსის გავლის შესახებ;

ლ) მოწმობა და ყოველგვარი ქაღალდი, რაც მიეცემა მუშას, მოსამსახურეს, ნამდვილ სამხედრო სამსახურში მყოფ პირსა და მოსწავლეს—სამსახურის ან სწავლების ადგილას წარსადგენად;

მ) მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომისარიატის საჩივართა ბიუროს მთელი საქმისწარმოება მთავრობის დაწესებულებათა და თანამდებობის პირთა მოქმედებაზე შესულ საჩივართა გამო.

6. ა/კ. ს. ფ. ს რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარიატს დაევალება. გამოსცეს საჭირო წესები და ინსტრუქციები ამა დადგენილების შეფარდებისათვის.

ა/კ. ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო
კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ა/კ. ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 752 №-ში 1924 წ. დეკემბრის 13-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

1924 წლის დეკემბრის 8.

307. ადგილობრივი ფინანსების თაობაზე გამოცემული დროებითი დებულების 24 მუხლის დამატების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის ტერიტორიაზე, ამიერკავკასიის საგანგებო კომისიისა და მისი ორგანოებისათვის ა/კ. ს. ფ. ს. რესპ. შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებში ს. ს. რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური აღმასრ. კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ ადგილობრივი ფინანსების დროებითი დებულების 24 მუხლის დამატების შესახებ 1924 წლის ივნისის 13-ს თარიღით გამოცემული დადგენილება.

ა/კ. ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ა/კ. ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

ს. ს. რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოსი.

გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს ადგილობრივ ორგანოთა სადგომების დაქირავებისა და შენახვის ხარჯის ადგილობრივ სახსარზე დაკისრების შესახებ.

ს. ს. რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. ადგილობრივი ფინანსების დროებითი დებულების 24 მუხლის დასამატებლად დაეკისროს ადგილობრივ სახსარს გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს ადგილობრივ ორგანოთა, სხვათა შორის გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს საბადრაგო ჯარის საეტაპო, პუნქტების სადგომების დაქირავების ხარჯი განათებისა, წყლის მიწოდებისა, ასენიზაციისა, მცირე მიმდინარე რემონტისა და ამ სადგომებისა, მათი ეზოებისა, საკვამლეებისა და სახურავების გაწმენდისათვის.

2. დადგენილება ესე ძალაში შედის 1924 წლის ოქტომბრის 1-დან.

ს. ს. რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური
აღმასრ. კომიტეტის თავმჯდომარე **კალინინი.**

ს. ს. რესპუბლიკების კავშირის სახალხო
კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **რიკოვი.**

ს. ს. რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ენუქიძე.**

მოსკოვი—კრემლი, 1924 წ. ივნისის 13.
გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 753 №-ში 1924 წ. დეკემბრის 14-ს.

დადგენილება № 36 ამიერკავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკის უმაღლესი ეკონომიური საბჭოსი.

1924 წლის ნოემბრის 27.

308. ამიერკავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკაში კოოპერატიული სტატისტიკის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.

1. ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის კოოპერატიული სტატისტიკის სფეროში წარმოებული მუშაობის შესათანხმებლად, რათა ამ სტატისტიკას მიეცეს პროგრამული და მეტოდოლოგიური მთლიანობა, თავიდან აცილებულ იქეს პარალელიზმი და რიგზე მოეწყოს და თავის დროზე შესრულდეს სტატისტიკური მუ-

შაობა,—ა/კ. ცენტრალურ სტატისტიკურ სამართველოსთან, ამ უკანასკნელის მმართველის თავმჯდომარეობით, დაარსდება კოოპერატიული სტატისტიკის ბიურო.

2. არც ერთი სტატისტიკური გამოკვლევა კოოპერაციის მდგომარეობისა არ შეიძლება მოხდეს, უკეთუ გამოკვლევის პროგრამა და გეგმა არ დაადასტურა ა/კ. კოოპერატიული სტატისტიკის ბიურომ.

3. კოოპერატიული ორგანიზაცია ვალდებულია შეავსოს ა/კ. კოოპერატიული სტატისტიკის ბიუროს მიერ დამტკიცებული ბლანკები და წარუდგინოს იგი სათანადო ორგანიზაციას, რისთვისაც სისწორით უნდა დაიცვას დაწესებული ვადები.

შენიშვნა. რაიმე ცვლილებისა ან დამატების შეტანა—კოოპერატიული სტატისტიკის ბიუროს თანხმობის გარეშე—არ შეიძლება.

4. რესპუბლიკანურ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსთან, ამ უკანასკნელის მმართველის თავმჯდომარეობით, მოეწყობა რესპუბლიკანური კოოპერატიული სტატისტიკის ბიურო.

რესპუბლიკანური კოოპერატიული სტატისტიკის ბიუროს ფუნქციებისა და ამ ბიუროს ურთიერთობის წესს ა/კ. ბიუროსთან—განსაზღვრავს ა/კ. ბიუროს პლენუმი.

5. ა/კ. კოოპერატიული სტატისტიკის ბიურო შესდგება პლენუმისა და პრეზიდუმისაგან.

6. პლენუმში შედიან წარმომადგენელნი (თითო) ცენტრალურ, როგორც ფედერატიულ, ისე რესპუბლიკანურ, კოოპერატიულ კავშირთა სტატისტიკური განყოფილებებისა, ა/კ. ცენტრ. სტატისტიკური სამმართველოსი, შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა, მუშათა და გლეხთა ინსპექციისა და დედა-ქალაქების მუშათა კოოპერაციებისა

7. პრეზიდიუმს აარჩევს პლენუმი. პრეზიდუმის მუდმივი წევრები არიან: წარმომადგენელნი ა/კ. ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოსი (თავმჯდომარე), ა/კ. კავშირისა, ერთი წარმომადგენელი საკრედიტო კოპერაციისა და ერთიც წარმოებითი კოოპერაციისა, პლენუმის არჩევით.

8. პლენუმის საგანია—განიხილოს და დაამტკიცოს სტატისტიკური მუშაობის წლიური გეგმა.

9. პრეზიდუმი შეიკრიბება საჭიროებისადა მიხედვით და პლენუმის ერთი სესიდან მეორე სესიამდე კოოპერატიული სტატისტიკის ბიუროს წარმოადგენს.

10. რესპუბლიკანური ბიუროც პლენუმისა და პრეზიდუმისაგან შესდგება; პლენუმში შედის თითო წარმომადგენელი კოოპერატიულ კავშირთა სტატისტიკური განყოფილებებისა, დედა-ქალაქის მუშათა კოოპერატივისა, რესპუბლიკის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოსი, შინა-ვაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს და მუშათა და გლეხთა ინპექციისა.

პრეზიდუმს აარჩევს პლენუმი. პრეზიდიუმის მუდმივი წევრები არიან—ცენტრ. სტატისტიკური სამმართველოს მმართველი და თითო წარმომადგენელი მომხმარებელი, წარმოებითი და საკრედიტო კოოპერაციისა.

11. კოოპერატიული სტატისტიკის ბიუროს თავისი სამუშაო აპარატი არა ჰყავს და გამოიყენებს ცენტრ. სტატისტიკურ სამმართველოს და კოოპერატიული ორგანიზაციების სათანადო აპარატებს.

ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის უმაღლესი
ეკონომიური საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის უმაღლესი
ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველი **ნ. ივანიშვილი.**

ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის უმაღლესი
ეკონომიური საბჭოს მდივანი **ნ. სოკოლსკი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“ ს 753 №-ში 1924 წ. დეკემბრის 14-ს.

დადგენილება № 21 ამიერკავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკის შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა.

1924 წლის დეკემბრის 5.

309. საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თამბაქოს ტრესტის მიერ ნაწარმოები თამბაქოს ფასების მოწესრიგების შესახებ.

რათა მთლად ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოწესრიგებულ და დამყარებულ იქნეს თანაბარი ფასები საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თამბაქოს ტრესტის მიერ ნაწარმოებ თამბაქოზე, ვიდრე გამოქვეყნდებოდეს ახალი სისტემა თამბაქოს ნაკეთობის სააქციზო დაბეგვრისა და ამ ნაკეთობათა ახალი დახარისხება (ს. ს. რესპუბლიკების კავშირის ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის ა/წ. ოქტომბრის 3-ს დადგენილება)—შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატი ადგენს:

1. საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თამბაქოს ტრესტის მიერ ნაწარმოები თამბაქოსათვის დაწესებულ იქნეს მთლად ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის ტერიტორიაზე შემდეგი გასაცემი (საეტიკეტო) ფასები: ა) უმაღლესი ხარისხისა i გირვანქა—6 მან.; ბ) 1-ლი ხარისხისა—3 მან. და 60 კაპ.; გ) მე-2 ხარისხისა—2 მან. და 90 კაპ.

2. როდესაც თამბაქოს ტრესტი ბითუმად აძლევს თამბაქოს სახელმწიფო ორგანოსა და კოოპერაციას, ზემოაღნიშნული ფასები დაკლებულ უნდა იქნეს 4%-ით, ხოლო როცა კერძო ვაჭრობას აძლევს—2,0 პროც-ით.

3. სახელმწიფო ორგანო და კოოპერატიული შენაერთი ზემოაღნიშნულ თამბაქოს მისცემს დაბალი საფეხურის კოოპერაციას იმ ფასად, როგორც თითონ იყიდა თამბაქოს ტრესტისაგან 0,5 %-ის წამატებით ზედნადები ხარჯისათვის.

4. ა/კ. შინა-ვაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებულთ ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკებში დაევალებათ თვალყური ადევნონ ამა დადგენილების უკლებლივ შესრულებას.

5. ის, ვინც ამა დადგენილებას დაარღვევს, მიიცემა პასუხისგებაში თანახმად სათანადო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსისა, როგორც შინავაჭრობის წესების დარღვევისათვის.

6. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის შინა-
ვაჭრობის სახალხო კომისრის მოადგილე **გამყრელიძე.**

ვაჭრობის მოწესრიგების სამმართველოს უფროსი **სტეფანიანი.**
საქმეთა მმართველი **ეირანოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 755 №-ში 1924 წლის დეკემბრის 17-ს.

დადგენილება № 38 ამიერკავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკის უმაღლესი ეკონომიური საბჭოსი.

1924 წლის დეკემბრის 9.

310. ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის ფარგლებში ხმარებული ფულის მასსის აღნუსხვის შესახებ.

ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის ფარგლებში ხმარებული ფულის მასსის აღნუსხვისათვის ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის უმაღლესი ეკონომიური საბჭო ადგენს:

1. ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის ტერიტორიაზე მომქმედი ყველა სახელმწიფო დაწესებულება, საწარმო და კოოპერატიული ორგანიზაცია, რომელიც ფულად თანხას იღებს ს. ს. რესპუბლიკების კავშირის სხვა ნაწილებიდან ან და ჰგზავნის ფულს ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ, უკეთუ ეს მიღება ან გაგზავნა საერთო თანხით თვეში 5.000 მანათს აღემატება,—ვალდებულია ყოველთვიურად მისცეს ხოლმე სათანადო ცნობები ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომისიას.

2. ცნობები უნდა წარედგინოს ა/კ. ს. ფ. ს. რესპ. სახელმწიფო საგეგმო კომისიას თვითეული გასული თვისათვის არა უგვიანეს შემდეგი თვის 10-ს რიცხვისა.

3. ცნობები 1923 წ. ოქტომბრიდან 1924 წ. ნოემბრამდე (ამ თვიანად) წარდგენილ უნდა იქნეს თვეობით არა უგვიანეს 1925 წლის იანვრის 5-სა.

4. ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომისიას უფლება ეძლევა გამოსცეს ინსტრუქცია ამა დადგენილების შეფარდებისათვის.

ა/კ. ს. ფ.ს. რესპუბლიკის უმაღლესი
ეკონომიური საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის უმაღლესი
ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველი **ნ. ივანიშვილი.**

ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის უმაღლესი
ეკონომიური საბჭოს მდივანი **ნ. სოკოლსკი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 755 №-ში 1924 წლის დეკემბრის 17-ს.

დადგენილება № 39 ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის უმაღლესი ეკონომიური საბჭოსი.

1924 წლის დეკემბრის 12.

311. ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომისიის მიერ ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ყოველთვიური მიმოხილვის წარდგენის შესახებ.

1. დაევალოს ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომისიას წარუდგინოს ხოლმე ა/კ. ს. ფ. ს. რ. უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო მეურნეობის მოკლე ყოველთვიური მიმოხილვა შემდეგი თვის 11-ს რიცხვსათვის და სრული მიმოხილვა—შემდეგი თვის 25 რიცხვისათვის.

2. დაევალოს ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ ყველა სახელმწიფო დაწესებულებასა და საწარმოს, აგრეთვე კოოპერატიულ ორგანიზაციას, მათი ხელმძღვანელების პირადი პასუხისმგებლობით, წარუდგინონ ხოლმე ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომისიის საკონიუნქტურო საბჭოს ზემოაღნიშნული მიმოხილვისათვის საჭირო ცნობები სახელმწიფო საგეგმო კომისიის მიერ განსაზღვრულ ვადებზე.

3. ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომისიას უფლება ეძლევა დაავალოს იმ დაწესებულებათ, რომელნიც შედიან, როგორც წევრები, საკონიუნქტურო საბჭოს შედგენილობაში—შეკრეფა და შემუშავება სათანადო ცნობებისა სახალხო მეურნეობის ცალკე დარგებისათვის და თვითეულ აღნიშნულ დაწესებულებასთან მოაწყოს საკონიუნქტურო კომისია სახალხო მეურნეობის სათანადო დარგისათვის.

ცალკე დაწესებულებასთან არსებული საკონიუნქტურო კომისიის შედგენილობას განსაზღვრავს ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომისია სათანადო უწყებასთან შეთანხმებით.

4. ამა დადგენილების აღსასრულებლად ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომისიას უფლება ეძლევა შეიმუშაოს და გამოსცეს სათანადო ინსტრუქციები და საჭირო ცნობების პროგრამები.

ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის უმაღლესი
ეკონომიური საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის უმაღლესი
ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველი **ნ. ივანიშვილი.**

ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის უმაღლესი
ეკონომიური საბჭოს მდივანი **ნ. სოკოლსკი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 755 №-ში 1924 წლის დეკემბრის 17-ს.

დადგენილება ა.კ. რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარიატისა.

312. 1924 წლის ოქტომბრის 1-ლის ბალანსების წარდგენის ვადის შესახებ.

ფინანსთა სახალხო კომისარიატი აცხადებს, რომ საჯარო ანგარიშგება-ვალდებული ყველა სავაჭრო-სამრეწველო საწარმო (ასეთი საწარმონი ჩამოთვლილია ა/კ. ფინანსთა სახ. კომისარიატის განმარტებაში, რომელიც გამოქვეყნებულ იყო „ზარია ვოსტოკა"-ს 690 №-ში ა/წ. სექტემბრის 30-ს), გარდა ამიერკავკასიის მასშტაბით მომქმედი საწარმოსი, მოვალეა წარადგინოს 1924 წლის ოქტომბრის 1-ლის ბალანსი ყველა დანართით, რაც ჩამოთვლილია ა/კ. ფინანსთა სახ. კომისარიატის სახელმწიფო შემოსავალთა სამართველოს ნოემბრის 15-ს თარიღისა და 631 №-ის ცირკულიარში, მარტოოდენ ა/კ. ფინინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულთა საამართველოების (საქართველოში, აზერბაიჯანში და სომხეთში) სახელმწიფო შემოსავლის განყოფილების მეშვეობით.

ბალანსი და ყველა მისი დანართი წარდგენილ უნდა იქნეს ორ ცალად.

საჭირო ცნობების წარდგენის უკანასკნელი ვადა არის მიმდინარე წლის დეკემბრის 31.

საწარმო და დაწესებულება, რომელიც აღნიშნულ ვადაზე არ წარადგენს საჭირო ცნობებს, მიიკემა სამართალში არსებული წესისამებრ.

ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის
ფინანსთა სახალხო კომისარი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 756 №-ში 1924 წლის დეკემბრის 18-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

1924 წ. დეკემბრის 8.

313. სახელმწიფო საშემოსავლო გადასახადის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ ს. ს. რ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1924 წ. ოქტომბრის 29-ს შემდეგი დადგენილება სახელმწიფო საშემოსავლო გადასახადის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

დადგენილება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

სახელმწიფო საშემოსავლო გადასახადის დებულების სამოქმედოდ შემოღების შესახებ.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ 1923 წ. ნოემბრის 12-ს დამტკიცებული („ს. ს. რ. კავშირის ც. ა. კ., ს. კ. ს. და შ. და თ. ს. მოამბე“ № 11, მუხ. 317) სახელმწიფო საშემოსავლო გადასახადის დებულების გასაუქმებლად—ს. ს. რ. კავშირის მე-2 მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესია ადგენს;

1. დამტკიცებულ იქნეს დებულება სახელმწიფო საშემოსავლო გადასახადის შესახებ.

2. პირველ მუხლში აღნიშნული დებულება სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს 1924 წ. ოქტომბრის 1-დან.

ს. ს. რ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. კალინინი.**

ს. ს. რ. კავშირის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი. **ა. ენუქიძე**

მოსკოვი—კრემლი. 1924 წ. ოქტომბრის 29.

დებულება სახელმწიფო საშემოსავლო გადასახადის შესახებ.

1. სახელმწიფო საშემოსავლო გადასახადი შეეწერება, გარდა მე 2 მუხ. აღნიშნულ გამონაკლისთა: ა) ყველა იმ პირს, რომელსაც დამოუკიდებელი შემოსავალი აქვს და რომელიც სცხოვრობს ს. ს. რ. კავშირის ტერიტორიაზე; ბ) იურიდიულ პირს. (მუხ 3, პ. დ), რომლის გამგეობაც ს. ს. რ. კავშირის ტერიტორიაზე იმყოფება; გ) უცხოეთის ფირმის იმ წარმომადგენლობას, რომელსაც ნებადართული აქვს აწარმოოს ოპერაციები ს. ს. რ. კავშირის ტერიიტორიაზე.

შენიშვნა. უცხოეთის ფირმაზე, რომელსაც ნებადართული აქვს ს. ს. რ. კავშირის ტერიტორიაზე ოპერაციების წარმოება, შეიძლება გავრცელებულ იქნეს გადასახადით დაბეგვრის გამონაკლისი მხოლოდ ურთიერთი მაგიერობის საფუძველზე.

2. გადასახადი არ შეეწერება: ა) იმ პირს, რომელიც შემოსავალს მიიღებს სასოფლო-სამეურნეო მრეწველობაში მოსაქმეობით, რასაც ერთიანი სასოფლო გადასახადი დაედება; ბ) სარემონტო-სააღმშენებლო მუშას, დღიურ მუშას და სხვა არაკვალიფიციურ მუშას, რომელსაც დროებითი სამუშაო აქვს გამოურკვეველი თვიური შრომის ხელფასით; გ) დაწესებულებისა, საწარმოს და მეურნეობის იმ მუშა-მოსამსახურეს, რომლის თვიური სამუშაო ხელფასის რაოდენობა 75 მან. ნაკლებია და რომელსაც შემოსავლის სხვა წყარო არ გააჩნია; დ) იმ სახელმწიფო პენსიონერს, რომელიც ხაზინიდან 100 მან. ნაკლებ პენსიას იღებს, ამ პენსიითა სცხოვრობს და რომელსაც შემოსავლის სხვა წყარო არ გააჩნია; ე) სამხედრო-მსახურს და მილიციონერს; 3) სახელმწიფო სასწავლებლისა და სახელმწიფო სასწავლებელთან გათანაბრებული სასწავლებლის მოსწავლეს, ზ) შრომის უუნარო ინვალიდს, რომელიც სოციალური უზრუნველყოფის ორგანოებისა, სოციალური დაზღვევის ორგანოებისა ან კერძო პირისა და ორგანიზაციის მზრუნველობად იმყოფება; თ) იმ ქალს, რომლის მზრუნველობაზედაც იმყოფებიან 14 წლისაზე უმფროსი შვილები ან სხვა შრომისუუნარო ოჯახის წევრნი, უკეთუ იგი დამოუკიდებლად, სხვის დაუხმარებლად, ინახავს თავის თავს და ოჯახს; ი) შრომის ბირჟაზე რეგისტრაციაქმნილ უმუშევარს, რომელსაც უფლება აქვს სოციალური დაზღვევის წესით მიიღოს დახმარება და რომელსაც სხვა არავითარი საშემოსავლო წყარო არ გააჩნია; კ) გადასახადის გადამხდელისა და გადასახადისაგან განთავისუფლებული პირის ცოლს და ოჯახის სხვა წევრს, რომელსაც დამოუკიდებელი შემოსავალი არ აქვს, და, საერთოდ, ყველა იმ პირს, რომელიც სხვის რჩენად იმყოფება და რომელსაც არსებობისათვის საკუთარი სახსარი არ გააჩნია; ლ) უცხო სახელმწიფოს წარმომადგენელს ურთიერთი მაგიერობის საფუძველზე; მ) სახელმწიფო და კოპერატიულ საწარმოს და შერეულ საზოგადოებას, რომელიც იბეგვრება საშემოსავლო გადასახადით 1923 წ. ივნისის 20-ს დებულებისა (რუს. ს. ფ. ს. რ. კან. კრებ. 1923 წ. 61 №-რი, მუხ. 573) და მისი შემდგომი დამატებისა და ცვლილების თანახმად; ნ) ყველა საფეხურის სასო-

ფლო-სამეურნეო კრედიტის დაწესებულებას; ო) საბინაო ამხანაგობას; პ) მუშათა საბინაო საალმშენებლო კოოპერატივს.

შენიშვნა 1. „ა“, „ე“, „ზ“ და „თ“ პ. პ. აღნიშნული გამონაკლისები არ გავრცელდება იმ პირზე, რომელიც ეკუთვნის მე-6 მუხ. მე III-VI ჯგუფებსა და „გ“ პუნქტის კატეგორიას (მუხ. 7).

შენიშვნა 2. მე-2 მუხ. „ა“ პუნქტით გათვალისწინებული შეღავათი გავრცელდება იმ გლეხზედაც, რომელიც, სოფლის მეურნეობასთან ერთად, ეწევა სასოფლო მრეწველობას (არა ვაჭრობას), რასაც მისი მეურნეობისათვის აქვს მხოლოდ ხელისშემწყობი მნიშვნელობა.

3. გადასახადით დასაბეგვრი ყველა პირნი განიყოფებიან შემდეგ კატეგორიებზე:

ა) ის პირი, რომელიც შემოსავალს პირადი შრომით იღებს—დაქირავებით—და სახელმწიფო პენსიონერი;

ბ) ის პირი, რომელიც შემოსავალს პირადი შრომით იღებს—არა დაქირავებით;

გ) ის პირი, რომელიც შემოსავალს იღებს სამრეწველო და სავაჭრო საწარმოს, შენობისა და კაპიტალის მფლობელობით, ქონების იჯარად აღებისა და შემოსავლის სხვა არა შრომის საშუალებით;

დ) იურიდიული პირი, საააქციო საზოგადოება (საპაიო ამხანაგობა) და საკრედიტო დაწესებულება, აგრეთვე სრული ამხანაგობა, ნდობის ამხანაგობა და ამხანაგობა შეზღუდული პასუხისმგებლობით.

4. „ა“ (მუხ. 3) კატეგორიას ეკუთვნის დაწესებულებისა, საწარმოს და მეურნეობის მუშა, მოსამსახურე, დღიური მუშა, სარემონტო-საალმშენებლო და სხვ. მუშა და სახელმწიფო პენსიონერი,

5. მე-4 მუხ. აღნიშნული პირნი გადასახადს შემდეგი რაოდენობით გადაიხდიან: ა) ის პირი, რომელიც თვიურად 100 მან. მეტს არ იღებს—3 მან. და 60 კაპ.; ბ) ის პირი, რომელიც თვიურად 100 მან. მეტს იღებს, ხოლო არა უმეტეს 150 მან.—7 მან. და 20 კაპ.; გ) ის პირი, რომელიც თვიურად 150 მან. მეტს იღებს—15 მან.-ნახევარწლისათვის. ამას გარდა, ეს პირნი დაბეგვრილ უნდა იქნენ შემოსავალთა შეერთების მიხედვით მე-13 და შემდგომი მუხლების წესისამებრ. „ა“ კატეგორის პირთ გადასახადი გადაჰხდებათ თანაბარ ნაწილებად თვიურად.

6. „ბ“ (მუხ. 3) კატეგორიას ეკუთვნიან გადამხდელთა შემდეგი ჯგუფები: 1) ის ხელოსანი და შინა-მრეწველი, რომელსაც სარეწავი გადასახადის შესაწერი საწარმო არა აქვს; ის ფეხზე მოვაჭრე, რომელიც სახელმწიფო და კოოპერატიული საწარმოსათვის მუშაობს; 2) ის მოქალაქე, რომელიც მარტოხელად წვრილ მრეწველობას მისდევს, სხვათა შორის, სარონინ ებელ მრეწველობას; 3) ის მოქალაქე, რომელიც მარტოხელად ასრულებს შეკვეთით და დავალებით ისეთ სამუშაოს, რასაც სპეციალური ტეხნიკური ცოდნა და ხელსაწყო ესაჭიროება, მაგალითად: კბილის ტეხნიკოსი, მხაზველი, გეგმისა, ხარჯთაღრიცხვისა და სხვ. შემდგენელი და სხვ.; 4) ის მოქალაქე, რომელიც პირადად, უკონტროროდ და უმოსამსახუროდ ასრულებს სასყიდლით კერძო რამ მინდობილებას (ფაქტორი, ვაჭ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რობის აგენტი), აგრეთვე საფონდო და სასაქონლო ბირჟების მაკლერი, საკრედიტო და დამზღვევი დაწესებულების სარაიონო ინსპექტორი და აგენტი და მიმომსვლელი ნოქარი (კომმივოიაჟორი, რომელიც ნიმუშებით აწარმოებს ვაჭრობას); 5) თავისუფალი პროფესიის პირი: თავისუფალი პრაქტიკის მქონე ექიმი, კბილის ექიმი, ვეტერინარი, ინჟენერი, არქიტექტორი და სხვ. ამისთ. ვინმე, ავრეთვე სარელიგიო კულტის მსახური; 6) ყველა სხვა პირი, რომელსაც პირადი შრომის შემოსავალი აქვს და „ა“ კატეგორიას არ ეკუთვნის.

7. „გ“-ს კატეგორისათვის მიკუთვნებული პირნი განიყოფებიან შემდეგ ჯგუფებად: 1) პირველი კატეგორიის სავაჭრო და სამრეწველო საწარმაოს მფლობელი; 2) მეორე კატეგორიის სავაჭრო და სამრეწვეო საწარმოს მფლობელი და თანამფლობელი 3) მესამე კატეგორიის სავაჭრო საწარმოს და მესამე და მეოთხე კატეგორიის სამრეწველო საწარმოს მფლობელი და თანამფლობელი; 4) მეოთხე კატეგორიის სავაჭრო საწარმოს და მე-5—7 კატეგორიის სამრეწველო საწარმოს მფლობელი და თანამფლობელი; 5) ის პირი, რომელიც უკონტროოდ ასრულებს საკომისიონერო, სამაკლერო და საექსპედიტორო ოპერაციებს, გარდა საფონდო და სასოქონლო ბირჟის მაკლერისა (მე-6 მუხ. მე-4 ბ.); 6) მეხუთე კატეგორიის სავაჭრო საწარმოს და მე-8—12 კატეგორიის სამრეწველო საწარმაოს მფლობელი და თანამფლობელი; 7) ქალაქად მდებარე შენობისა და ქალაქ-გარე მდებარე გასაქირავებელი—შენობის მფლობელი; 8) ის პირი, რომელიც შემოსავალს იღებს საკომერციო ექსპლოატაციის მიზნით ქალაქად მდებარე ქონების იჯარად აღებით; 9) ის პირი, რომელიც სცხოვრობს საპროცენტო და სადივიდენდო ქაღალდებისა და ანაბარის პროცენტების შემოსავლით; 10) ის პირი, რომელიც აწარმოებს საკრედიტო და სხვა ამგვარ ოპერაციებს; 11) ყველა სხვა მოქალაქე, რომელიც იღებს შემოსავალს ქონების მფლობელობით, მეწარმეობით და შემოსავლის სხვა, არა შრომის ხასიათის, წყაროთი, რაც გათვალისწინებული არ არის წინა პუნქტებში.

შენიშვნა მე-7. ჯგუფიდან არ დაიბეგვრება ის სახლის მფლობელი მუშა-მოსამსახურე, რომელიც სახლს არ გამოიყენებს მთელი ბინისა ან სავაჭრო სადგომის გასაქირავებლად.

8. გადასახადის შენაწერის რაოდენობა „ბ“ სა და „გ“-ს კატეგორიების გადამხდელთათვის,—მათი ჯგუფებად და, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ზოლებად დანაწილებით,—დაწესდება ამასთავნავე დართული განრიგებით (დანართი № 1 „ბ“ კატეგორიისათვის და დანართი № 2 „გ“ კატეგორიისათვის). ადგილების ზოლებად დანაწილებას დააწესებს ს. ს. რ. კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატი.

9. ის გადამხდელი, რომელსაც საშემოსავლო გადასახადი რამდენსამე ჯგუფში უნდა შეეწეროს,—დაიბეგვრება უმაღლესი ჯგუფის მიხედვით.

შენიშვნა 1. იმ პირს, რომელსაც სხვა რამ საშოვარიც აქვს სალიტერატურო მუშაობით, საშემოსავლო გადასახადი შეეწერება მარტოოდენ მისი ძირითადი პროფესიისა ან შემოსავლის მთავარი წყაროს მიხედვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა 2. ის მუშა-მოსამსახურე, რომელსაც სხვა რამ საშოვარიც აქვს ამა თუ იმ თავისუფალი პროფესიისა, დაიბეგვრება ძირითადი გადასახადით მხოლოდ მე-5 მუხ. მიხედვისამებრ.

10. მე-4, 6 და 7 მუხ. მოხსენებულთა შორის ის პირი, რომლის ნახევარწლის შემოსავალი მე-15 მუხ. აღნიშნულ რაოდენობას აღემატება, მოვალეა შეიტანოს დეკლარაცია თავის შემოსავალთა შესახებ და ამ შემოსავალთა თანხის მიხედვით იგი უნდა დაიბეგვროს მე-13 და შემდგომი მუხლების წესისამებრ.

11. მე-5 და 8 მუხ. თანახმად გადასახდევინებელი ძირითადი გადასახადი ჩაითვლება მე-10 მუხ. თანახმად გამოსაანგარიშებელ შენაწერის გადასახდელში.

12. მე-3 მუხ. („გ"-ს კატეგორია) აღნიშნული იურიდიული პირი საშემოსავლო გადასახადს გადაიხდის წლიური შემოსავლის თანხისდაკვალად, უკეთუ გასულ საოპერაციო წელიწადში ეს თანხა ორჯერ მაინც აღემატება მე-15 მუხ. ნაჩვენებ მინიმუმს.

13. სხვა-და-სხვა შემოსავლის შეერთებით დაბეგვრა შეეფარდება იმ გადამხდელს, რომელმაც საშენაწერო ნახევარწლის წინა სანახევარწლო პერიოდში მიიღო მე-15 მუხ. აღნიშნულ რაოდენობაზე მეტი შემოსავალი ქვემოდ ჩამოთვლილ ერთ ან რამდენსამე წყაროდან, სახელდობრ: ა) სავაჭრო ან სამრეწველო საწარმოში მონაწილეობა მფლობელის ან მოიჯარადრის სახით და, საერთოდ, ყოველგვარი მოსაქმეობა ვაჭრობისა, ნარდად მუშაობისა, გაყიდვა-მიწოდებისა, საკომისიო, სამაკლერო, საექსპედიტორო, საბირჟო და სხვა ამისთანა ოპერაციების სფეროში; ბ) ქალაქად შენობის მფლობელობა და ქალაქ-გარე შენობის იჯარად გაცემა, აგრეთვე კომერციული ექსპლოატაციის მიზნით შენობისა და ქონების იჯარად აღება; გ) ფულადი კაპიტალი, საპროც. და სადივიდენდო ქაღალდები; დ) პირადი—არა-გაქირავებული—შრომა (მუხ. 6); ე) დაწესებულებაში, საწარმოში და მეურნეობაში მუშაობისა ან სამსახურის გასამრჯელო, აგრეთვე უზრუნველსაყოფელად ხაზინისაგან მინაღები პენსია (მუხ. 4); ვ) შემოსავლის ყველა სხვა წყარო, გარდა სასოფლო-სამეურნეო მრეწველობაში მოსაქმეობისა, რასაც ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი შეეწერება.

14. შემოსავლად, ამა დებულების მე-13 მუხ. აზრის მიხედვით, იგულისხმება: ა) ფიზიკური პირისათვის—ჯამი ფულად და ნატურად მინაღებისა, რაც,—ამა თუ იმ შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფარვის შემდეგ, ისე-კი, რომ ამ ხარჯებში ნავარაუდევი არ იყოს თვით შემოსავლის მიმღებისა და მისი ოჯახის წევრთა გასამრჯელო,—შეიძლება მოხმარებულ იქნეს შემოსავლის მიმღების პირად მოხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად ან გადაქცეულ იქნეს ქონებად, კაპიტალად, დანაზოგად ან და საწარმოს გასაფართოებლად; ბ) იურიდიული პირისათვის—მისი წლიური წმინდა მოგება, რაც გამოყვანილი იქნებ ს. ს. რ. კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ დადგენილი წესების მიხედვით (24 მუხ.)

15. მე-13 მუხ. მიხედვით დაბეგვრილ უნდა იქნეს შეერთებული შემოსავალი, რაც გადამხდელს მიუღია წინა ნახევარწლის პერიოდში მე-13 მუხ. აღნიშნულ ყველა წყაროდან, უკეთუ შემოსავალთა ეს თანხა აღემატება: მოსკოვისა და ლენინგრადისათვის—500 მან., 1-ლი ზოლის ქალაქებისათვის—450 მან., მე-2

ზოლის ქალაქებისათვის—400 მან., მე-3 ზოლის ქალაქებისათვის—350 მან. და სხვა ადგილებისათვის—300 მან., ხოლო „ა"—ს კატეგორიის (მუხ. 4) გადამხდელთათვის—აღნიშნული თანხა—900 მან. ბიმატებით.

შენიშვნა 1. გადასახადის შენაწერის გამოანგარიშების დროს დასაბეგვრი შეერთებულ შემოსავლიდან გამოკლებულ უნდა იქნეს გადამხდელის მიერ დაქირავებით მუშაობისა და სამსახურისათვის მიღებული გასამრჯელო, აგრეთვე ხაზინისაგან მიღებული პენსია, ხოლო არა უმეტეს 900 მანეთისა ნახევარწელში.

შენიშვნა 2. იმ პირის შემოსავლის დასაბეგვრი თანხის გამორკვევის დროს, რომელიც მე-3 მუხ. „დ" პუნქტით გათვალისწინებულ საზოგადოებისა და ამხანაგობის წევრია, მის მიერ ამ საზოგადოებაში და ამხანაგობაში მონაწილეობისათვის მიღებული შემოსავალი გამოკლებულ უნდა იქნეს.

16. შეერთებული შემოსავლის რაოდენობის მიხედვით გადამხდელნი განიყოფებიან კატეგორიებად ამასთანავე დართული კატეგორიათა და გადასახადის საკატეგორიო განაკვეთის განრიგების თანახმად (მე-3 №-რის დანართი). გადასახადის წლიური შენაწერი მე-3 მუხ. „დ"-ს პ-ში აღნიშნულ იურიდიულ პირთათვის გამოანგარიშებულ იქნება ნახევარწლის განაკვეთის ერთი-ორად გადიდებული რაოდენობით, რაც, ამასთანავე დართული განრიგებით, მის ნახევარწლის შემოსავალს შეესაბამება.

17. ის გადამხდელი, რომელიც მიიღებს მე-15 მუხ. აღნიშნულ რაოდენობაზე მეტ შემოსავალს, მოვალეა წარუდგინოს ადგილობრივ საუბნო საგადასახადო კომისიას (მუხ. 23) ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ დადგენილ ვადაზე და ფორმით უმეტნაკლებო დეკლარაცია მის მიერ გასულ ნახევარწელში მიღებული შემოსავლის თანხის შესახებ. ფინანსთა სახალხო კომისარიატის ორგანოებისათვის დეკლარაციის წარუდგენლობისა, ან თავის დროზე წარუდგენლობისა ან-და არა სრული ცნობების წარდგენისათვის, საგუბერნიო ან სამაზრო და მათი თანაბარი საგადასახადო კომისიის დადგენილებით, შეიძლება დადებულ იქნეს ჯარიმა რაოდენობით არა უმეტეს 200 მანეთისა; ამასთანავე, ის პირი, რომელსაც დეკლარაცია სულაც არ შეუტანია ან შეუტანია, მაგრამ გამოცხადებული ვადის გადაცილებით, უფლებასა ჰკარგავს განასაჩივროს საგადასახადო კომისიის მიერ მისთვის გამოანგარიშებული გადასახადის შენაწერი. ისეთი დეკლარაციის წარდგენა, რომელიც შეიცავს წინასწარი შეცნობით მოთავსებულ არასწორ ცნობებს, დაისჯება მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების სათანადო მუხლისამებრ.

შენიშვნა. მუშა-მოსამსახურის (მუხ. 4) დეკლარაცია საგადასახადო კომისიაში წარიდგინება იმ დაწესებულებისა ან საწარმოს მიერ, სადაც გადამხდელი მუშაობს.

18. ის სახლის მფლობელი და სახლის მმართველობა, მებელიანი ოთახებისა და სასტუმრის მფლობელი და მოიჯარადრე, რომელიც დადგენილ ვადაზე არ წარუდგენს ფინანსთა ინსპექტორს სახლში, მებელიან ოთახებში და სასტუმროში მცხოვრებ ყველა მოქალაქეთა სიას და აგრეთვე, უკეთუ .თავის დრო-

ზე არ წარადგენს ამ სიას ან მოათავსებს მასში არა-სრულ ცნობებს, დაჯარიმებულ უნდა იქნეს ორას მანეთამდე სათანადო საფინანსო განყოფილების მიერ, ხოლო წინასწარი შეცნობით არა-სწორი ცნობების წარდგენისათვის იგი პასუხისგებაში იქნება მიცემული სისხლის სამართლის წესით.

ამავე წესით პასუხს აგებს დაუდევრობისათვის კოოპერატიული და საკრედიტო ორგანიზაციისა, კერძო საზოგადოებისა და ამხანაგობის გამგეობა, რომლის მოვალეობასაც შეადგენს საფინანსო განყოფილებისათვის და ფინანსთა ინსპექტორისათვის სხვა-და-სხვა ცნობებისა და სიის წარდგენა, ს. ს. რ. კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ დამტკიცებული ინსტრუქციისამებრ. უკეთუ კერძო და კოოპერატიული საწარმოს გამგე არ დაუჭერს მუშათ და მოსამსახურეთ (22 მუხ. შენიშვნა) გადასახადის შენაწერს, არ ჩააბარებს ან თავის დროზე არ ჩააბარებს დაჭერილ გადასახადს ფინ. სახ. კ-ტის სალაროს, არ წარადგენს ან თავის დროზედ არ წარადგენს დეკლარაციას (მე-17 მუხ. შენიშვნა), სათანადო საფინანსო განყოფილების დადგენილებით დაედება ჯარიმა არა უმეტეს 200 მან. რაოდენობისა და, ამას გარდა, მან უნდა აუნაზღაუროს ხაზინას ყველა ზარალი.

მთავრობის დაწესებულებისა და საწარმოს თანამდებობის პირი ზემოაღნიშნულ მოთხოვნათა დარღვევისათვის მიცემულ იქნება პასუხისგებაში დისციპლინარული წესით, ხოლო სათანადო შემთხვევაში—სისხლის სამართლის წესით.

19. დეკლარაციის (მუხ. 17) დამატებად გადამხდელი მოვალეა, საგადასახადო კომისიის მოთხოვნით, წარადგინოს სიტყვიერი და წერილობითი განმარტება და დოკუმენტალური ცნობა (სავაჭრო და საკონტორო დავთარი და სხვ.). ამას გარდა, კომისია იხელმძღვანელებს მის განკარგულებაში ქონებულ ცნობებს გადამხდელის შემოსავლის შესახებ.

20. გადასახადი გასტუმრებულ იქნება ნახევარ-ნახევარწლობით; პირველ ნახევარწლად ითვლება პერიოდი ოქტომბრის 1-დან მარტის 31-დე, მეორე—აპრილის 1-დან სექტემბრის 30-დე—ამრიცხვითურთ. მე-3 მუხ. „დ"-ს პ-ში აღნიშნული იურიდიული პირი გაისტუმრებს გადასახადს წლიური შენაწერობით დამთავრებული საოპერაციო წლის მომდევნო ნახევარწელში. გადასახადის გასტუმრების ვადები დადგენილ იქნება ს. ს. რ. კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ.

21. საშემოსავლო გადასახადის გადახდევინების საქმის საერთო გამგებლობა ადგილობრივ დაეკისრება საგუბერნიო და მის თანაბარ საფინანსო განყოფილებას.

22. გადასახადით დაბეგვრისათვის საჭირო უშუალო მოქმედება დაეკისრება ფინანსთა ინსპექტორებს სათანადო საგადასახადო კომისიის მონაწილეობით და ფინანსთა აგენტების დახმარებით.

მეთვალყურეობა საშემოსავლო გადასახადის გადახდევინებისათვის, ანგარიშწარმოება და ანგარიშგება დაეკისრება სამაზრო და მის თანაბარ საფინანსო განყოფილებას.

შენიშვნა. გადასახადი მუშას, მოსამსახურეს და სახელმწიფო პენსიონერს (მუხ. 4) დაეჭირება მისთვის მისაცემ გასამრჯელოსა ან პენსიიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ დაწესებულებისა და საწარმოს მიერ, რომელიც გასცემს გასამრჯელოს ან პენსიას.

23. საგადასახადო კომისიის შედგენილობა, მისი კომპეტენცია და მისი დადგენილების განსაჩივრების წესი განსაზღვრულ იქნება ცალკე კანონით.

24. დაწვრილებითი წესები ამა დებულების შეფარდებისათვის განსაზღვრულ იქნება ს. ს. რ. კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატის ინსტრუქციით, რომელიც შედგენილ უნდა იქნეს ს. ს. რ. კავშირის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის მონაწილეობით.

დანართი № 1.

სახელმწიფო საშემოსავლო გადასახადის დებულებისა.

განრიგება

სანახევარწლო შენაწერისა იმ პირთათვის, რომელნიც შემოსავალს იღებენ პირადი—არა-გაქირავებული—შრომით.

(კატეგორია „ბ“)

გადამხდელთა ჯგუფები.	ქალ. მოსკოვში და ლენინგრადში		ადგილი								შენიშვნა
			1-ლი ზოლისა		მე-2 ზოლისა		მე-3 ზოლისა		მე-4 ზოლისა		
	მან.	კაპ.	მან.	კაპ.	მან.	კაპ.	მან.	კაპ.	მან.	კაპ.	
1	6	—	5	—	4	30	3	70	3	—	
2	7	20	6	30	5	40	4	50	3	60	
3	12	60	10	80	9	—	7	20	5	40	
4	21	—	18	—	15	—	12	—	9	—	
5	13	—	11	—	9	30	7	40	5	60	
6	8	20	7	20	6	20	5	20	4	20	

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი № 2.

სახელმწიფო საშემოსავლო გადასახადის დებულებისა.

განრიგები

სანახევარწლო შენაწერისა იმ პირთათვის რომელნიც შემოსავალს იღებენ სამრეწველო და სავაჭრო საწარმოს, შენობის და კაპიტალის მფლობელობით და სხვა არა-შრომის ხასიათის წყაროთი.

(კატეგორია „ბ“)

გადამხდელთა ჯგუფები.	ქალ. მოსკოვში და ლენინგრადში		ადგილი								შენიშვნა
			1-ლი ზოლისა		მე-2 ზოლისა		მე-3 ზოლისა		მე-4 ზოლისა		
	მან.	კაპ.	მან.	კაპ.	მან.	კაპ.	მან.	კაპ.	მან.	კაპ.	
1	10	40	9	—	7	70	6	50	5	20	
2	17	—	14	80	12	70	10	60	8	50	
3	34	—	30	—	26	—	21	—	17	—	
4	84	—	74	—	63	—	53	—	42	—	
5	52	—	45	—	39	—	32	—	26	—	
6	136	—	119	—	102	—	85	—	68	—	
7	9	—	7	80	6	60	5	50	4	50	
8	12	—	10	50	9	—	7	50	6	—	
9	20	50	18	—	15	50	13	—	10	50	
10	137	—	120	—	103	—	86	—	69	—	
11	12	50	11	—	9	50	8	—	6	50	

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი № 3

სახელმწიფო სეშემოსავლო გადასახადის დებულებისა.

განრიგეგა

შეერთებული შემოსავლის დაბეგვრის კატეგორიებისა და სანახევარწლო განაკვეთისა.

კატეგორია	ნახევარწლის შემოსავლის დასაბეგვრი თანხა.	შენაწერის რაოდენობა	შენიშვნა.
1	500 მანეთამდე—ამიანად	10 მან.	
2	500 მან. მეტი 600 მანეთამდე	16 „	
3	600 „ „ 800 „	24 „	
4	800 „ „ 1.000 „	36 „	
5	1.000 „ „ 1.200 „	53 „	
6	1.200 „ „ 1.600 „	81 „	
7	1.600 „ „ 2.000 „	121 „	
8	2.000 „ „ 2.500 „	176 „	
9	2.500 „ „ 3.000 „	245 „	
10	3.000 „ „ 3.500 „	323 „	
11	3.500 „ „ 4.000 „	410 „	
12	4.000 „ „ 4.500 „	506 „	
13	4.500 „ „ 5.000 „	612 „	
14	5.000 „ „ 6.000 „	787 „	
15	6.000 „ „ 7.000 „	1.044 „	
16	7.000 „ „ 8.000 „	1.327 „	
17	8.000 მან...	1.500 „	

8.000 მან. ზევით თვითეულ სრულ 1.000 მანეთზე მიემატება 300 მან.

ს. ს. რ. კავშირის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ი. კალინინი.**

ს. ს. რ. კავშირის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ა. ენუქიძე.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 757 №-ში 1924 წ, დეკემბრის 19-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

1924 წლის დეკემბრის 19.

314. ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის არაპირიან გადამხდელთათვის ადმინისტრატიული სასჯელის დადების შესახებ.

ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ 1924 წლის აპრილის 24-ს გამოცემული დეკრეტის (ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის კანონთა და განკარგ. კრებული 1924 წ. № 4, მუხ. 90) 24 მუხლის განსავითარებლად—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. სასოფლო-სამეურნეო გადასახადის არაპირიან გადამხდელთა შორის ადმინისტრატიული წესით დაისჯება:

ა) ის პირი, რომელიც დადგენილ ვადაზე არ ჩააბარებს სასოფლო-სამეურნეო გადასახადათ შეწერილ ფულად თანხას;

ბ) ის პირი, რომელიც უარს განაცხადებს გადასახადის ჩაბარებაზე სხვა პირებთან წინასწარ შეუთანხმებლად;

გ) ის პირი, რომელიც აღნუსხვისაგან დამალავს დაბეგვრის ობიექტებს, ან არასწორ ცნობას მისცემს სახნავის ან სათიბის სივრცისა, მსხვილი ოთხფეხი საქონლის რაოდენობისა, ოჯახის შედგენილობისა და მეურნეობის სხვა ელემენტის შესახებ.

2. ადმინისტრატიული ღონისძიება, რაც ხმარებულ უნდა იქნეს 1-ლ მუხლში აღნიშნულ პირთა წინააღმდეგ, არის მხოლოდ ფულადი ჯარიმა არა უმეტეს 25 მანეთისა.

3. თვითეული დაჯარიმების შესახებ ფინანსთა ინსპექტორი ან, მისი განკარგულებით, საუბნო და სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი შეადგენს დასაბუთებულ დადგენილებას, სადაც აღნიშნავს, თუ რაში მდგომარეობს სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გადამხდელის არაპირიანობა. დადგენილება გამოეცხადება გადამხდელს ხელწერილის ჩამორთმევით ან, თუ გადამხდელი წერა-კითხვის უცოდინარია, მოწმების თანადასწრებით და მოყვანილ უნდა იქნეს სისრულეში სამაზრო აღმასრ. კომიტეტის მმართველობის განყოფილების მეშვეობით.

შენიშვნა. ოქმი იმ დარღვევის შესახებ, რაც სასამართლოს წესით დაისჯება, ფინანსთა ინსპექტორის მიერ გაიგზავნება სამაზრო-საფინანსო განყოფილებაში სისხლის სამართლის წესით დევნის აღსაძვრელად.

4. გადამხდელს უფლება ეძლევა დაჯარიმების დადგენილება განასაჩივროს რესპუბლიკანურ საგადასახადო კომისიაში—კუთვნილებისა მებრ—შვიდი დღის ვადაზე დღიდან მისთვის დადგენილების გამოცხადებისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საჩივრის შეტანა ვერ შეაჩერებს განსაჩივრებული დადგენილების შესრულებას.

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ, რესპუბლიკის
სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 758 №-ში 1924 წ. დეკემბრის 20-ს.

დადგენილება № 37 ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის უმაღლესი ეკონომიური საბჭოსი.

1924 წლის დეკემბრის 9.

315. დებულება მომხმარებელ საზოგადოებათა და მათ კავშირთა სავალდებულო რევიზიის შესახებ.

ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის უმაღლესი ეკონომიური საბჭო ადგენს:

დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს შემდეგი დებულება მომხმარებელ საზოგადოებათა და მათ კავშირთა სავალდებულო რევიზიის შესახებ.

1. მომხმარებელ საზოგადოებათა მოქმედების ყოველმხრივ გასაშუქებლად, მათი საჭიროების გამოსარკვევად, ყოველი ნაკლის თავიდან ასაცილებლად და აგრეთვე კოოპერაციის განვითარებისათვის სათანადო ღონისძიებათა მისაღებლად—ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკისა და მის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მომხმარებელი კოოპერაციის კავშირები ვალდებულ არიან პერიოდულად, ერთხელ მაინც წელიწადში, მოახდინონ მომხმარებელ საზოგადოებათა რევიზია.

შენიშვნა. პირველი საფეხურის მომხმარებელი კოოპერაციისა და მისი სარაიონო შენაერთის რევიზიას ა/კ. ს.ფ.ს.რ. შედგენილობაში შემავალი ამა თუ იმ რესპუბლიკის ფარგლებში მოახდენს მომხმარებელი კოოპერაციის კავშირი რესპუბლიკის მასშტაბით, ხოლო ავტონომიურ რესპუბლიკაში—მომხმარებელი კოოპერაციის კავშირი სათანადო მასშტაბით, უკეთუ იგი არსებობს.

2. რევიზიის დროსა და ვადას განსაზღვრავს მომხმარებელი კოოპერაციის იმ კავშირის გამგეობა, რომელიც რევიზიას ახდენს.

3. რევიზია მოხდება თანახმად განსაკუთრებული ინსტრუქციისა და განაწესისა, რომელთაც დაამტკიცებს ა/კ. კავშირის გამგეობა და ა/კ. მუშათა და გლეხთა ინსპექცია.

4. გარდა საერთო რევიზიისა, რომელიც მთლად კოოპერაციის მოქმედებას შეეხება, მომხმარებელი კოოპერაციის კავშირი მოახდენს აგრეთვე ნაწილობრივ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევიზიას, რათა გამოიკვლიოს რევიზია—მოსახდენი კოოპერატიული შენაერთის მოქმედების ესა თუ ის დარგი.

5. რევიზია მოხდება მომხმარებელი კოოპერაციის კავშირთან არსებული საინსტრუქტორო განყოფილების ინსტრუქტორ-რევიზორების მეშვეობით,

6. წარმოებული რევიზიის შესახებ შედგენილ უნდა იქნეს მოხსენება და განსაკუთრებული აქტი, რომელიც თავისი ფორმითა და შინაარსით უნდ შეეფერებოდეს ა/კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციისა და ა/კ. კავშირის მიერ ამ საგანზე გამოცემულ განაწესსა და ინსტრუქციას.

7. მოხსენება და აქტი რევიზიისა დაიბეჭდება რამდენიმე ცალად ისეთი ანგარიშით, რომ ერთი ცალი დარჩეს რევიზია-მოხდენილი კოოპერატიული შენაერთის გამგეობაში, მეორე გაეგზავნოს მომხმარებელი კოოპერაციის რესპუბლიკანურ კავშირს, მესამე—ა/კ. კავშირს, მეოთხე—სათანადო რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა ინსპექციას და მეხუთე—ა/კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციას.

შენიშვნა. ა/კ. კავშირის მიერ მოხდენილი რევიზიის აქტი და მოხსენება დაიბეჭდება ოთხ ცალად, რომელთაგან ერთი დარჩება მომხმარებელი კოოპერაციის რევიზია-მოხდენილ კავშირში, ხოლო დანარჩენი სამი გაეგზავნება ა/კ. კავშირს, ა/კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციას და სათანადო რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა ინსპექციას.

8. როდესაც მომხმარებელი კოოპერაციის კავშირის გამგეობა მიიღებს რევიზიის აქტსა და მოხსენებას, იგი ვალდებულია იხმაროს სათანადო ღონისძიება რევიზიის დროს აღმოჩენილი ნაკლის თავიდან ასაცილებლად, რაც უნდა აცნობოს რესპუბლიკანურ მუშათა და გლეხთა ინსპექციას.

ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის უმაღლესი ეკონომიური
საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის უმაღლესი ეკონომიური
საბჭოს საქმეთა მმართველი **ნ. ივანიშვილი.**

ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის უმაღლესი ეკონომიური
საბჭოს მდივანი **ნ. სოკოლსკი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 761 №-ში 1924 წლის დეკემბრის 24-ს

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელ კომიტეტისა და ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

1924 წ. დეკემბრის 22.

316. ყურძნის მასალისაგან და ხილეულობისაგან გამოხდილი სპირტის სააქციზო განაკვეთის გადიდების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1925 წ. ნოემბრის 26-ს თარიღით გამოცემული („ზარია ვოსტოკა"-ს 277 №-რი 1923 წ. დეკემბრის 1-სა) დადგენილების მე-4 კარის მე-2 მუხ. მე-6 პუნქტის შესაცვლელად და ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ—საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1924 წ. აპრილის 18-ს დადგენილების (მუხ. მე-3, ლიტ. „გ", პ. „ა") სამოქმედოდ შემოღების შესახებ—1924 წ. აპრილის 29 თარიღით გამოცემული („ზარია ვოსტოკა"-ს 566 №-რი 1924 წ. მაისის 1-სა) დადგენილების შესაცვლელად—ყურძნის მასალისაგან და ნედლი ხილისა და მარწყვეულობისაგან გამოხდილ სპირტზე დაწესებულ იქნეს აქციზის განაკვეთად 5 კაპ. გრადუსზე.

2. ახლად დაწესებული სააქციზო განაკვეთი გავრცელდება მთლად ხელთქონებულ ხილეულობისა და ყურძნეულობის სპირტის მარაგზე, რომლისთვისაც აქციზი გადახდილ არ იქნება ამა დადგენილების სამოქმედოდ შემოღებამდე.

დადგენილება ესე სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს ტელეგრაფით.

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ.
რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 761 №-ში 1924 წ. დეკემბრის 24-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

1924 წლის დეკემბრის 22.

317. იმ პირთა პირადი სამრეწველო მოსაქმეობის სარეწავი გადასახადისაგან განთავისუფლების შესახებ, რომელნიც სოფლად შინა-მრეწველობის კოოპერატიული ამხანაგობის (არტელის) წევრებად ირიცხებიან

ს. ს. რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური აღმასრ. კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ—ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკაში საერთო საგადასახადო სისტემის შემოღების შესახებ—1924 წლის აპრილის 18-ს თარიღით გამოცემული დადგენილების (ა/კ. ს. ფ. ს. რ-ის კანონთა კრებული 1924 წ.

№ 4, მუხ. 111) თანახმად—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის ტერიტორიაზე ს. ს. რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური აღმასრ. კომიტეტისა და სახ. კომისართა საბჭოს მიერ 1924 წლის დეკემბრის 5-ს თარიღით გამოცემული შემდეგი დადგენილება—იმ პირთა პირადი სამრეწველო მოსაქმეობის სარეწავი გადასახადისაგან განთავისუფლების შესახებ, რომელნიც სოფლად შინა-მრეწველობის კოოპერატიული ამხანაგობის (არტელის) წევრებად ირიცხებიან.

ა/კ. ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ა/კ. ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

დადგენილება ს. ს. რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოსი.

იმ პირთა პირადი სამრეწველო მოსაქმეობის სარეწავი გადასახადისაგან განთავისუფლების შესახებ, რომელნიც სოფლად შინა-მრეწველობის კოოპერატიული ამხანაგობის (არტელის) წევრებად ირიცხებიან.

ს. ს. რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ კოოპერატიული ორგანიზაციებისათვის საგადასახადო შეღავათის მიცემის შესახებ 1923 წ. დეკემბრის 7-ს თარიღით გამოცემული დადგენილების (ს. ს. რ-ბის კავშირის ც. ა. კ., ს. კ. ს. და შ. და თ. ს. „ვესტნიკი“ 1923 წ. № 9, მუხ. 274) დასამატებლად—ს. ს. რ-ბის კავშირის ცენტრალური აღმასრ. კომიტეტი და სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

განთავისუფლებულ იქნენ პირადი სამრეწველო მოსაქმეობის სარეწავი გადასახადისაგან ის პირნი, რომელნიც სოფლად შინა-მრეწველობის კოოპერატიული ამხანაგობის (არტელის) წევრებად ირიცხებიან, მიუხედავად იმისა—საერთო სახელოსნოებში სწარმოებს არტელის მუშაობა, თუ შინ—არტელის წევრის ოჯახში, იმ პირობით კი, რომ მთლად არტელის წევრების ნამუშევარი საღდებოდეს მარტოოდენ არტელის მეშვეობით.

ს. ს. რ-ბის კავშირის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **გ. პეტროვსკი.**

ს. ს. რ ბის კავშირის სახალხო
კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ა. რიკოვი.**

ს. ს. რ-ბის კავშირის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ა. ენუქიძე.**

მოსკოვი—კრემლი. 1924 წლის დეკემბრის 5.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 761 №-ში 1924 წ. დეკემბრის 24-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

1924 წლის დეკემბრის 22.

318. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატების მიერ პურის დამამზადებლებთან დადებული ზოგიერთი ხელშეკრულებისა და ამ ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ოპერაციების ანგარიშების საღერბო და სხვა გამოსაღებისაგან განთავისუფლების შესახებ.

ს. ს. რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური აღმასრ. კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1924 წლის დეკემბრის 5-ს დადგენილების თანახმად ა/კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

განთავისუფლებულ იქნეს საღერბო, სანოტარო და სხვა გამოსაღებისაგან ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკათა მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატების მიერ 1924 წლის მოუსავლობისაგან დაზარალებული ადგილებისათვის ხორბლეულობის მოწოდების შესახებ პურის დამამზადებლებთან დადებული ხელშეკრულებანი (ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის კანონთა კრებული 1924 წ. № 7, მუხ. 238) და ამ ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ოპერაციების ანგარიშები.

ა/კ. ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო
კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ა/კ. ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 761 №-ში 1924 წლის დეკემბრის 24-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

1924 წლის დეკემბრის 22.

319. ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის დებულების მე-13 მუხლის შენიშვნის შეცვლის შესახებ.

ა/კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის დებულების (ა/კ. ს. ფ. ს. რ—ს კანონთა და განკარგ. კრებული 1924 წ. № 1, მუხ. 13) მე-13 მუხლის შენიშვნა მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„უკეთუ მე-II მუხლში აღნიშნული დაწესებულებისა ან საწარმოს ხელმძღვანელი არ დაეთანხმება ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის წინადადებას, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს თავისი მისაგებელი მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატს. უკეთუ ამ მისაგებელს მუშათა და გლეხთა ინსპექცია დამაკმაყოფილებლად არა სცნობს, საკითხი გადაეცემა განსახილველად ა/კ. ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს, ან ა/კ. სახალხო კომისართა საბჭოს—კუთვნილებისამებრ.

ა/კ. ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო
კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ა/კ. ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 761 №-ში 1924 წ. დეკემბრის 24-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერკავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

1924 წლის დეკემბრის 22.

320. სახელმწიფო მიწების იჯარით გაცემის შესახებ.

რათა ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის ტერიტორიაზე დამყარებულ იქნეს სახელმწიფო დაწესებულებებისა, საწარმოებისა, ორგანიზაციებისა, არტელებისა და კერძო პირების მიერ სახელმწიფო მიწების სარგებლობის ძირითადი პრინციპები—ა/კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. სახელმწიფო მიწებად, რომელიც შეიძლება იჯარით გაცემულ იქნეს, ჩაითვლება ყველა მიწა, რაც უშუალო სარგებლობისათვის არა აქვს გადაცემული მშრომელ მიწათმოსარგებლეთ, მათ შენაერთს ან ქალაქს.

2. 1-ლ მუხლში აღნიშნულ სახელმწიფო მიწებს ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის შედგენილობაშა შემავალ რესპუბლიკათა მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატები გადასცემენ სარგებლობისათვის სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და საწარმოთ ხელშეკრულობის საფუძველზე ან და საჯარო ვაჭრობით, ხოლო ცალკე პირებს გადასცემენ მარტოოდენ საჯარო ვაჭრობით,

3. ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკათა მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატები სახელმწიფო მიწებს გასცემენ სათანადო რესპუბლიკების მიწის კოდექსების მიხედვით და სასყიდლით, რაც დაწესებულ უნდა იქნეს მარტოოდენ ფულად, თანაც ეს სასყიდელი აუცილებლად შეტანილ უნდა იქნეს ა/კ. ფინანსთა სახ. კომისარიატის სალაროში.

4. საიჯარო განაკვეთის რაოდენობას განსაზღვრავს სათანადო რესპუბლიკის მიწათმოქმედების სახ. კომისარიატი ა/კ. ფინანსთა სახ. კომისარიატთან შეთანხმებით,

5. ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს დაევალებათ გამოსცენ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატების მიერ, ა/კ. ფინანსთა სახ. კომისარიატთან შეთანხმებით, შემუშავებული სათანადო დადგენილებანი და წესები ამა დადგენილებაში აღნიშნული სახელმწიფო მიწების სარგებლობის წესისა, პირობებისა და ვადების შესახებ.

ა/კ. ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო
კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ა/კ. ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 761 №-ში 1924 წ დეკემბრის 24-ს.

დადგენილება № 22/28615 ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა.

(ვაჭრობისა და სავაჭრო პოლიტიკის მოწესრიგების სამმართველოსათვის.)

1924 წლის დეკემბრის 15.

321. მაზუთის ფასის შემცირების შესახებ.

ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის დროებითი დებულების მე-2 მუხლის „გ" და „ი" პუნქტისა და ა/კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1924 წლის ივნისის 26-ს დადგენილების თანახმად—

ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატი, ა/კ. ს. ფ. ე. რესპუბლიკის შინა-ვაჭრობის კომისიის მიერ 1923 წლის დეკემბრის 28-ს თარიღითა და 6 №-ით გამოცემული დადგენილების შესაცვლელად, ადგენს:

1. დაწესებულ იქნეს საქართველოს ს. ს. რესპუბლიკაში მაზუთის შემდეგი გასაცემი ფასები:

ა) გასაცემი საბითუმო ფასი სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს სათბობი მასალის განყოფილების საწყობისათვის—ტფილისსა და ნავთლულში—$62^1/_2$ კაპ. ფუთზე; ქუთაისში—$73^1/_2$ კაპ.; ბათომში—76 კაპ.

ბ) გასაცემი საბითუმო ფასი სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს სათბობი მასალის განყოფილებისათვის ფრანკო—ცისტერნი: სად, ტფილისი და ნავთლული—$60^1/_2$ კაპ. ფუთზე; ავჭალა—63 კაპ.; ქსანი—$64^1/_2$ კაპ.; გომი—68 კაპ.; ბორჯომი—68 $^1/_2$ კაპ.; წნორის-წყალი—68½ კაპ.; თელავი—69 კაპ.; ქუთაისი—70 კაპ.; სამტრედი—70 კაპ.; ტყიბული—$70^1/_2$ კაპ., ფოთი-პორტი—71 კაპ.; ჭიათურა—72 კაპ.

2. დაწესებულ იქნეს სომხეთის ს. ს. რესპუბლიკაში მაზუთის შემდეგი გასაცემი ფასები:

ა) გასაცემი საბითუმო ფასი სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოსათვის ფრანკო-ცისტერნი სად. ერევანი—$66^1/_2$ კაპ. კაპ. ფუთზე.

ბ) გასაცემი საბითუმო ფასი სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს საწყობისათვის ერევანში—68 $^1/_2$ კაპ. ფუთზე.

3. დაევალოს ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის შინა-ვაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებულს სომხეთის ს. ს. რესპუბლიკაში დააწესოს მაზუთის გასაცემი ფასი ცისტერნებში სომხეთის ს. ს. რ, სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პროვინციალური საწყობებისათვის რკინისგზის სადგურებთან, რისთვისაც იხელმძღვანელებს ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის განკარგულებას.

4. დაევალოს ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის შინა-ვაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებულს აზერბაიჯანის ს. ს. რესპუბლიკაში დააწესოს აზერბაიჯანის ს. ს. რესპუბლიკაში მაზუთის გასაცემი ფასი სახელმწიფო ორგანოებისა და კოოპერაციისათვის, რისთვისაც იხელმძღვანელებს ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის შინა-ვაჭრობის სახ. კომისარიატის განკარგულებას.

5. წინადადება მიეცეს ყველა სახელმწიფო ორგანოს, აღმასრულებელ კომიტეტსა და კოოპერატიულ ორგანიზაციას მაზუთის ფასის შემცირების გამო ერთი კვირის განმავლობაში გადასინჯონ და სათანადოდ შეამცირონ ფასი მოსახლეობისათვის გაწეული ყოველგვარი მომსახურეობისა (წყლის მიწოდება, მორწყვა, აბანო, ხორბლეულობის დაფქვა, პურის გამოცხობა და სხვ).

9. ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის შინა-ვაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებულთ ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებში დაევალებათ თვალყური ადევნონ ამა დიდგენილების სისწორით აღსრულებას.

7. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე მიიცემა პასუხისგებაში სათანადო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, როგორც შინა-ვაჭრობის წესების დარღვევისათვის.

8. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის შინა-
ვაჭრობის სახალხო კომისრის მოადგილე **გამყრელიძე.**

ვაჭრობის მოწესრიგების
სამმართველოს უფროსი **სტეფანიანი.**
საქმეთა მმართველი **ეირანოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 762 №-ში 1924 წ. დეკემბრის 25-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

1924 წლის დეკემბრის 22.

322. ერთდროული გადასახადის შესახებ მოუსავლობისაგან დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებათათვის.

ს. ს. რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური აღმასრ. კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ მოუსავლობისაგან დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებათათვის ერთდროული გადასახადის შემოღების შესახებ 1924 წლის სექტემბრის 13-ს თარიღით გამოცემული დადგენილების თანახმად და იმ სახსარის გასაძლიერებლად, რასაც მთავრობა იძლევა მოუსავლობისაგან დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებათათვის—ა/კ. ცენტრალური აღმასრ. კომიტეტი და ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. შემოღებულ იქნეს 1924—1925 საბიუჯეტო წლისათვის ერთდროული გადასახადი, რომელიც გადაჰხდება, მე-2 მუხლში აღნიშნული გამონაკლისით, ყველა მოქალაქეს, ვისაც კი 18 წელი შესრულებია.

2. გადასახადისაგან განთავისუფლდება:

ა) ის პირი, ვინც სასოფლო-სამეურნეო მრეწველობას ეწევა, უკეთუ იგი არ იხდის სახელმწიფო სარეწავ ან საშემოსავლო გადასახადს;

ბ) მუშა და მოსამსახურე, რომელსაც აქვს დროებითი სამუშაო და არა განსაზღვრული თვიური სასყიდელი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) მუშა და მოსამსახურე, რომელსაც არა აქვს სხვა შემოსავლის წყარო, გარდა სამუშაო ხელფასისა, უკეთუ ეს სამუშაო ხელფასი თვიურად 75 მანეთზე ნაკლებია;

დ) სახელმწიფოს პენსიონერი, რომელსაც სხვა შემოსავლის წყარო არა აქვს, გარდა იმ პენსიისა, რასაც ხაზინიდან იღებს, უკეთუ პენსიის თვიური რაოდენობა 75 მანეთზე ნაკლებია;

ე) სამხედრო მსახური და მილიციონერი;

ვ) სახელმწიფო სასწავლებლისა და მისი თანაბარი სასწავლებლის მოსწავლე, უკეთუ მას არა აქვს დამოუკიდებელი საშოვარი ან სხვა დამოუკიდებელი შემოსავლის წყარო;

ზ) ინვალიდი, რომელიც სოციალური უზრუნველყოფისა და სოციალური დაზღვევის ორგანოს ან კერძო პირისა და ორგანიზაციის რჩენად იმყოფება;

თ) ქალი, რომელსაც თავის მზრუნველობაზე ჰყავს 14 წლისაზე უმცროსი ბავშვი და სხვა შრომის უნარ-მოკლებული ოჯახის წევრი, უკეთუ იგი სხვის დაუხმარებლად ინახავს თავის თავს და ოჯახს და მიეკუთვნება ამასთანავე დართული განრიგების პირველ, მეორე და მესამე კიტეგორიაში ჩამოთვლილ პირთა რიცხვს;

კ) გადასახადის გადამხდელი ოჯახის ის წევრი, რომელსაც დამოუკიდებელი შემოსავალი არა აქვს.

3. ერთდროული გადასახადის შენაწერი განისაზღვრება გადამხდელთა კატეგორიებისა და იმ ადგილების ზოლების მიხედვით, სადაც გადამხდელნი სცხოვრობენ—სახელმწიფო საშემოსავლო გადასახადისათვის დაწესებული ზოლების თანაბრად, ამასთანავე დართული განრიგებისამებრ.

4. გადამხდელი, რომელიც რამდენსამე კატეგორიას მიეკუთვნება, გადასახადს გადაიხდის უმაღლესი შენაწერის კატეგორიით.

5. ყველა გადამხდელი, გარდა მუშა-მოსამსახურისა და ავრეთვე პენსიონერისა, გადასახადს გადაიხდის იმ ვადაზე, რასაც დააწესებს ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარიატი.

6. მუშა, მოსამსახურე და პენსიონერი გადასახადს გადაიხდის სამ ვადაზე. რასაც დააწესებს ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარიატი, ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის შრომის სახ. კომისარიატთან შეთანხმებით.

7. ვადაზე შეუტანელი გადასახადი გადახდევინებულ უნდა იქნეს საერთო საფუძველზე, რაც დაწესებულია გადასახადთა და გამოსაღებთა გადახდევინებისათვის.

8. ამა დადგენილების შეფარდების წესებს განსაზღვრავს ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარიატი.

ა/კ. ცენტრ. აღმასრ. კომიტეტისა და ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ მოუსავლობისაგან დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებათათვის ერთდროული გადასახადის შემოღების შესახებ გამოცემული დაადგენილების მე-3 მუხლის დანართი (იხ. გვ. 528).

ეროვნული ბიბლიოთეკა

განრიგება წლიური შენაწერისა.

გადამხდელთა კატეგორია	ადგილი			
	I ზოლისა	II ზოლისა	III ზოლისა	IV ზოლისა
1. მუშა, მოსამსახურე და სახელმწიფოს პენსიონერი, რომელიც თვეში იღებს:				
ა) 75 მანეთიდან 100 მანეთამდე	4	4	4	4
ბ) 100 მანათზე მეტს 150-დე	6	6	6	6
გ) 150 მანათზე მეტს 200-დე	12	12	12	12
დ) 200 მანათზე მეტს 300-დე	20	20	20	20
ე) 300 მანათზე მეტს	30	30	30	30
2. ფეხზე მოვაჭრე, რომელიც მუშაობს სახელმწიფო და კოოპერატიული საწარმოსათვის	5 მ. და 50 კ.	5	4 მ. და 50 კ.	4
3. ხელოსანი და შინა-მრეწველი, რომელსაც არა აქვს სარეწავი გადასახადით დასაბეგვრი საწარმო, აგრეთვე ყოველი პირი, რომელსაც აქვს პირადი შრომის შემოსავალი არა-დაქირავებით და რომელიც უმაღლეს კატეგორიას არ მიეკუთვნება	8	7	6	5
4. მოქალაქე, რომელიც შეკვეთით და დავალებით მარტოხელად ასრულებს ისეთ სამუშაოს, რაც მოითხოვს სპეციალურ ტეხნიკურ ცოდნას ან მოწყობილობას, და აგრეთვე თავისუფალი პროფესიის პირი	14	12	10	8
5. რელიგიური კულტის მსახური . . .	26	22	18	15
6. მოქალაქე, რომელიც პირადად, უკონტროროდ და მოსამსახურის დაუჭერლად, ასრულებს კერძო დავალებას სასყიდლით (ფაქტორი, ვაჭრობის აგენტი), მაკლერი ავაჭრო-საფონდო ბირჟისა, სარაიონო ინსპექტორი და აგენტი საკრედიტო და სადასაზღვეო დაწესებულებისა და აგრეთვე მიმომსვლელი ნოქარი, რომელიც ნიმუშების მიხედვით ვაჭრობს	22	20	16	12
7. 1-ლი კატეგორიის სავაჭრო და სამრეწველო საწარმოს მფლობელი . . .	10	9	7	6
8. მე-2 კატეგორიის სავაჭრო და სამრეწველო საწარმოს მფლობელი და თანამფლობელი .	17	15	12	10
9. მფლობელი, თანამფლობელი და მეპაიე მე-3 კატეგორიის სავაჭრო საწარმოსი და მე-3 და მე-4 კატეგორიის სამრეწველო საწარმოსი, აგრეთვე ისეთი პირი, რომელიც აწარმოებს საკომისიონერო სამაკლერო და საექსპედიტორო ოპერაციას უკონტროროდ, გარდა სავაჭრო-საფონდო ბირჟის მაკლერისა	36	30	24	20

ბაღამხდელთა კატეგორია	ადგილი			
	I ზოლისა	II ზოლისა	III ზოლისა	IV ზოლისა
10. მფლობელი, თანამფლობელი და მეპაიე მე-4 კატეგორიის სავაჭრო საწარმოსი და მე-5, 6 და 7 კატეგორიის სამრეწველო საწარმოსი .	80	70	60	50
11. მფლობელი, თანამფლობელი და მეპაიე მე-5 კატეგორიის სავაჭრო საწარმოსი და მე-8 და მეტი კატეგორიის სამრეწველო საწარმოსი, და აგრეთვე ისეთი პირი, რომელიც აწარმოებს საკრედიტო და სხვა ამგვარ ოპერაციებს . . .	225	200	150	125
12. ისეთი პირი, რომელიც სცხოვროს ნაგებობის მფლობელობისა, ქონების იჯარით აღებისა და საპროცენტო და სადივიდენდო ქაღალდების შემოსავლით, და აგრეთვე სხვა არაშრომის ხასიათის შემოსავლით, რაც წინა პუნქტებში ბათვალისწინებულ არ არის	14	12	10	8

ა/კ. ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო
კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ა/კ. ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 766 №-ში 1924 წ. დეკემბრის 30-ს.

დადგენილება № 67 ა/კ ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

1924 წლის ნოემბრის 27.

323. დებულება ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებული სახელმწიფო საგეგმო კომისიის შესახებ.

ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს: დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს შემდეგი დებულება ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებული სახელმწიფო საგეგმო კომისიის შესახებ.

I. ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომისიის მიზნები.

1. ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომისიის მიზანია: შეათანხმოს ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკათა სახალხო მეურნეობის გეგმები, შეიმუშაოს სახელმწიფო. მეურნეობის ერთიანი ფედერატიული საპერსპექტივო გეგმა ელექტროფიკაციის საერთო—საკავშირო გეგმის საფუძველზე და ამასთან ერთად შეიმუშაოს ერთიანი სამეურნეო გეგმის საფუძველზე საკალენდრო წლიური გეგმები და სისტემატიურად თვალყური ადევნოს მთლად ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობას.

2. 1-ლ მუხლში აღნიშნული მიზნების განსახორციელებლად ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სსხელმწიფო საგეგმო კომისიას დაეკისრება:

ა) განსაზღვროს სახელმწიფო მეურნეობის ერთიანი ფედერატიული საპერსპექტივო გეგმის განხორციელების წესი და საშუალებანი და აგრეთვე შეიმუშაოს ამ გეგმის საფუძველზე საკალენდრო წლიური გეგმები;

ბ) განიხილოს საკავშირო (ს. ს. რესპუბლიკების კავშირი) მეურნეობისა და ბიუჯეტის საპერსპექტივო და მიმდინარე წარმოებითი გეგმების ის ნაწილი, რაც შეეხება ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკას საერთო-საკავშირო შემოსავლისა და გასავლის სფეროში, და წარადგინოს ამის შესახებ თავისი აზრი;

გ) განიხილოს წლიური ზოგად-ფედერატიული ბიუჯეტის პროექტი და წარუდგინოს სათანადო მოხსენება ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს;

დ) შეიმუშაოს, ს. ს. რესპუბლიკების კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიისა და ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს და უმაღლესი ეკონომიური საბჭოს წინადადებით და აგრეთვე თავისი ინიციატივით, ცალკე საკითხები, რასაც კავშირი ექნება ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის ან მის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო მეურნეობასთან;

ე) განიხილოს ის ძირითადი საკითხები, რაც დაკავშირებულია ა/კ. ს. ფ. ს. რ—ს ფულის ბრუნვასთან, კრედიტთან და აგრეთვე საბანკო საქმესთან და ამის შესახებ, წარუდგინოს თავისი აზრი, როგორც ს. ს. რესპუბლიკების კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიას, ისე ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს და უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს;

ვ) შეიმუშაოს ღონისძიებანი ბუნებრივ სიმდიდრეთა საუკეთესოდ გამოყენებისათვის და მრეწველობისა, ვაჭრობისა, ფინანსებისა, სოფლის მეურნეობისა, კოოპერაციისა და სხვ. განვითარებისათვის;

ზ) აღძრას საკითხები მუშაობის მოწყობის შესახებ ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის და წარმოებითი ძალების როგორც გამოკვლევისა, ისე შესწავლის სფეროში და აგრეთვე ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის ელექტროფიკაციის სფეროში, შეიმუშაოს ამ მუშაობის გეგმა და ხელი შეუწყოს მის განხორციელებას ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომისიის კომპეტენციის ფარგალში, შეათანხმოს დაწესებულებათა მოქმედება სახალხო მეურნეობის ცალკე დარგების შესწავლისა, სტატისტიკური ცნობების შეკრეფისა და შემუშავებისა და სხვ. სფეროში;

თ) წარმართოს ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკათა საგეგმო კომისიების მოქმედება;

ი) შეიმუშაოს ის საკითხები, რაც ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის ეკონომიურ დარიანობას შეეხება;

კ) განიხილოს და შეუთანხმოს გეგმას ა/კ. ს, ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისარიატებისა და ყველა სხვა ორგანოს წარმოებითი-სავაჭრო პროგრამები და საგეგმო განზრახულებანი სახალხო მეურნეობის იმ დარგების შესახებ, რაც მათ გამგებლობაშია; დააწესოს შესასრულებელ საგეგმო სამუშაოთა რიგი;

ლ) გააერთიანოს და შეათანხმოს ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სხვა-და-სხვა უწყების მიერ მრეწველობის წარმოებისა და აგრეთვე სამრეწველო ნედლეულობის სტანდარტიზაციის სფეროში გაწეული მუშაობა;

მ) განიხილოს ზოგად ფედერატიული ხასიათის ღონისძიებანი ყველა ძირითად სამრეწველო წარმოებაში საქონლის მასსიური დამზადების გამარტივებისა და გაიაფებისათვის და აგრეთვე ღონისძიებანი, რაც მიმართულ იქნება მუშა—მოსამსახურეთა პერსონალის მიზან-შეწონილი პროფესიონალური მომზადებისათვის;

ნ) მისცეს დასკვნა იმ უუმნიშვნელოვანესი დეკრეტებისა და დადგენილებების პროექტების შესახებ, რასაც ეკონომიური და ფინანსიური საკითხების სფეროში წარუდგენენ უწყებანი ა/კ. ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს და ა/კ. ს. ფ. რ—ის სახალხო კომისართა საბჭოს და უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს.

შენიშვნა. სახელმწიფო საგნგმო კომისიის თავმჯდომარეს უფლება ეძლევა წარუდგინოს შუამდგომლობა ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს და უმაღლესი ეკონომიური საბჭოს თავმჯდომარეს, რათა მათ არ განიხილონ ის საკითხი, რომლის შესახებაც ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომისიის წინასწარი დასკვნა არ მიუცია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომისია თავის მუშაობაში ემყარება ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკათა საგეგმო კომისიებს და-მათ ორგანოებს, რომელნიც, ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომისიის წინასწარ წინადადებათა საფუძველზე, შეიმუშავებენ ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკათა მეურნეობის სათანადო დარგების გეგმებს და წარუდგენენ მათ ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახ. საგეგმო კომისიას საბოლოო ჯუმლის შესადგენად და ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოში და უმაღლეს ეკონომიურ საბჭოში წარსადგენად.

შენიშვნა. მე-3 მუხლში აღნიშნული ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკათა საგეგმო კომისიები და მათი ორგანოები მოქმედებენ მათ შესახებ გამოცემული განსაკუთრებული დებულებების თანახმად.

II. ა/კ. ს. ფ. ს. **რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომისიის შედგენილობა და მისი ორგანოები.**

4. ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომისიის შედგენილობაში შედიან: თავმჯდომარე, მისი ორი მოადგილე, ა/კ. პროფ. კავშირთა საბჭოს წარმომადგენელი, თავმჯდომარენი საქართველოს ს. ს. რესპუბლიკისა, აზერბაიჯანის ს. ს. რესპუბლიკისა და სომხეთის ს. ს. რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომისიებისა და თავმჯდომარენი ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომისიის ცალკე სექციებისა.

შენიშვნა. ა/კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომისარიატისა და ა/კ. ცენტრალური სტატისტიკური სამართველოს წარმომადგენელნი შედიან ა/კ. სახელმწიფო საგეგმო კომისიაში სათათბირო ხმის უფლებით.

5. ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიისიის მოქმედების ხელმძღვანელობა და მისი მუშაობის შინაგანი განწესრიგების დამყარება დაეკისრება სახელმწიფო საგეგმო კომისიის პრეზიდუმს, რომელშიაც შედიან ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავჯდამარე და მისი ორი მოადგილე.

6. ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავჯდომაოეს და მის მოადგილეთ დანიშნავს ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო; ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომისიის წევრებს დაასახელებს მისი თავმჯდომარე და დაამტკიცეებს ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო.

7. ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომისიის პრეზიდუმი საგეგმო კომისიის მუშაობის საწარმოებლად მოიწვევს მუდმივ წევრებ-თანამშრომლებს და კონსულტანტებს და აგრეთვე დაავალებს კონსულტანტებს ცალკე საკითხებისა და მოხსენებების დამზადებას.

8. ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომისიის შედგენილობაში მოეწყობა შემდეგი სექცია:

1) სტატისტიკურ-ეკონომიური;
2) საბიუჯეტო-საფინანსო;
3) სასოფლო-სამეურნეო (სოფლის მეურნეობა და ირიგაცია);
4) საგაჭრო-სამრეწველო (საგარეო ვაჭრობა და შინა-ვაჭრობა, მრეწველობა, აღმშენებლობა, ენერგეტიკა, ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა);
5) საკონიუნქტურო საბჭო.

9. სექციების თავმჯდომარეთ დანიშნავს ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომისიის პრეზიდუმი კომისის წევრთაგან.

10. სექცია განიხილავს ამა თუ იმ საკითხს ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომისიის პრეზიდიუმის დავალებით და თავის თაოსნობითაც; ამასთანავ სექციის ყოველი დადგენილება წარედგინება განსახილველად და დასამტკიცებლად ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომისიას.

11. ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომისიას ჰყავს მუდმივი შტატი წევრებ-თანამშრომლებისა, პრეზიდუმის და სექციების ინსტრუქტორებისა და მდივნებისა, რომელთაც დანიშნავს პრეზიდუმი.

III ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომისიის უფლება-მოვალეობა.

12. ერთიანი პრინციპის განსახორციელებლად იმ საგეგმო მუშაობის სფეროში, რომელიც მთლად ს. ს. რესპუბლიკების კავშირის ინტერესებს შეეხება, ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომისია ემორჩილება ს. ს. რესპუბლიკების კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის ზოგად დირექტივებს.

13. ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომისიისა და მისი ორგანოების შესანახი ხარჯი მიეკუთვნება ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის ზოგადფედერატიულ ბიუჯეტს ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს ხარჯთაღრიცხვის თანახმად. კრედიტის განმკარგულებელი არის ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე.

14. ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს ქვემდებარე ყველა ორგანო ვალდებულია ყოველი საკითხი, რაც კი ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომისიის გამგებლობის საგანს შეეხება, ვიდრე მას განსახილველად ა/კ. ს. ფ. ს. რესპულიკის სახალხო კომისართა საბჭოს და უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს წარუდგენდეს, წინასწარ შეიტანოს ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახელმწეფო საგეგმო კომისიაში.

15. ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომისიას უფლება აქვს უშუალო ურთიერთი მიმართვა იქონიოს ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის ყველა დაწესებულებასთან და აგრეთვე ს. ს. რესპუბლიკების კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან. იმ დაწესებულებასთან და თანამდებობის პირთან, რომელიც ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის ტერიტორიის გარეთ იმყოფება, სახელმწიფო საგეგმო კომისია ურთიერთ მიმართვას იქონიებს ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მეშვეობით.

16. ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის ტერიტორიაზე მომქმედი ყველა სახელმწიფო დაწესებულება ვალდებულია წარუდგინოს ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომისიას ყოველგვარი მის მიერ მოთხოვნილი ცნობა და მასალა და აგრეთვე მისცეს მას საჭირო განმარტებანი.

17. ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომისიის დადგენილება ძალაში შედის მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი დამტკიცებულ იქნება ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს ან უმაღლესი ეკონომიური საბჭოს მიერ.

18. ურთიერთი დამოკიდულება ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომისიასა და ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკათა სახელმწიფო საგეგმო კომისიებს შორის განისაზღვრება განსაკუთრებული ინსტრუქციით, რასაც დაამტკიცებს ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის უმაღლესი ეკონომიური საბჭო.

ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ნ. ივანიშვილი.**

ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს
მდივნის თანამდებ. დრ. აღმასრულებელი **ხ. ლეკიშვილი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 767 №-ში 1924 წლის დეკემბრის 31-ს.

ს. ს. ბ. უ. ს. პოლიგრაფტრესტის 1-ლი სტამბა. პლეხანოვის პროსპ. № 91.

მთავარლიტ № 700 შეკვეთის № 5449/1005. დაიბ. 500.